



**ნებაყოფლობითი სახელმძღვანელო მითითებები
ეროვნული სასურსათო უსაფრთხოების კონტექსტში**

**მიწის, ტყისა და თევზის რესურსების
საკუთრებისა და სარგებლობის
საკითხების**

გონივრული მართვისთვის

წარმოდგენილი პუბლიკაცია არაოფიციალური თარგმანია შემდეგი დოკუმენტის: Voluntary Guidelines on the Responsible Governance of Tenure of Land, Fisheries and Forests in the Context of National Food Security, Food and Agriculture Organization (FAO) of the United Nation (UN), Rome, 2012. ISBN 978-92-5-107277-6. დოკუმენტის ორიგინალი ინგლისურ და სხვა ენებზე, ხელმისაწვდომია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის ვებგვერდზე: <http://www.fao.org/nr/tenure>

დოკუმენტი ქართულ ენაზე ითარგმნა ჰაინრიხ ბიოლის ფონდის სამხრეთ კავკასიის რეგიონალური ბიუროს ფინანსური მხარდაჭერით განხორციელებული პროექტის „პასუხისმგებელი მიწის პოლიტიკა“ ფარგლებში.

თარგმანის სიზუსტესა და სისრულეზე პასუხისმგებელია მხოლოდ მწვანე ალტერნატივა.

მწვანე ალტერნატივა, 2021

სარჩევი

შესავალი	4
1. მიზნები	4
2. დოკუმენტის ხასიათი და ფარგლები	5
ზოგადი საკითხები	6
3. საკუთრებისა და სარგებლობის საკითხების გონივრული მართვის სახელმძღვანელო პრინციპები	6
4. საკუთრებისა და სარგებლობის საკითხებთან დაკავშირებული უფლებები და ვალდებულებები	9
5. საკუთრებისა და სარგებლობის საკითხებთან დაკავშირებული პოლიტიკის, საკანონმდებლო და ორგანიზაციული მექანიზმები	12
6. მომსახურების გაწევა	14
სამართლებრივი აღიარება და საკუთრებისა და სარგებლობის საკითხებთან დაკავშირებული უფლებებისა და ვალდებულებების მიჩიქება	17
7. გარანტიები	17
8. სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული მიწის, ტყისა და თევზის რესურსები	18
9. მკვიდრი ხალხები და საკუთრებისა და სარგებლობის ტრადიციული სისტემების მქონე სხვა თემები	21
10. არაფორმალური საკუთრება და სარგებლობა	24
საკუთრებისა და სარგებლობის უფლებებისა და ვალდებულებების გადაცემა და სხვა სახის ცვლილებები	26
11. ბაზრები	26
12. ინვესტიციები	28
13. მიწის ნაკვეთების გამსხვილება და რეორგანიზაციის სხვა მიდგომები	31
14. რესტიტუცია	33
15. გადანაწილების რეფორმები	34
16. ექსპროპრიაცია და კომპენსაცია	36
საკუთრებისა და სარგებლობის საკითხების ადმინისტრირება	39
17. საკუთრებისა და სარგებლობის უფლებების აღრიცხვა	39
18. შეფასება	41
19. დაბეგვრა	41
20. რეგულირებული სივრცითი დაგეგმარება	42
21. საკუთრებისა და სარგებლობის უფლებებთან დაკავშირებული დავების გადაწყვეტა	43
22. ტრანსსასაზღვრო საკითხები	45
რეაგირება კლიმატის ცვლილებასა და საგანგებო მდგომარეობებზე	46
23. კლიმატის ცვლილება	46
24. ბუნებრივი კატასტროფები	47
25. მიწის, ტყისა და თევზის რესურსების საკუთრებისა და სარგებლობის საკითხებთან დაკავშირებული კონფლიქტები	48
პოპულარიზაცია, შესრულება, მონიტორინგი და შეფასება	51

წინასიტყვაობა

წინამდებარე ნებაყოფლობითი სახელმძღვანელო მითითებების მიზანია, შეასრულოს ცნობარის ფუნქცია და გასცეს რეკომენდაციები მიწის, ტყისა და თევზის რესურსების საკუთრებისა და სარგებლობის მართვის გაუმჯობესებისათვის, სურსათის საყოველთაო უსაფრთხოების ზოგადი მიზნის გათვალისწინებით და სათანადო საკვებზე უფლების მზარდი მხარდაჭერით, სურსათის ეროვნული უსაფრთხოების კონტექსტში.

აღნიშნული სახელმძღვანელო მითითებების მიზანია, წვლილი შეიტანოს შიმშილისა და სიღარიბის აღმოფხვრისათვის გლობალურ და ეროვნულ დონეზე გაწეულ ძალისხმევაში, მდგრადი განვითარების პრინციპებზე დაფუძნებითა და განვითარების საკითხებში მიწის გადამწყვეტი მნიშვნელობის ხაზგასმით, საკუთრებისა და სარგებლობის წესებისა და მიწის, ტყისა და თევზის რესურსებზე თანასწორუფლებიანი წვდომის მეშვეობით.

შიმშილისა და სიღარიბის აღმოფხვრა და გარემოს მდგრადი გამოყენება დიდწილად დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად მიუწვდებათ ინდივიდებს, თემებსა და საზოგადოების სხვა ჯგუფებს ხელი მიწის, ტყისა და თევზის რესურსებზე. ბევრი ადამიანის, განსაკუთრებით სოფლად მცხოვრები ღარიბი მოსახლეობის საარსებო საშუალებები დამოკიდებულია აღნიშნულ რესურსებზე უსაფრთხო და თანაბარ წვდომასა და კონტროლზე. ეს რესურსები წარმოადგენს საკვებისა და თავშესაფრის წყაროს, ბაზის სოციალური, კულტურული და რელიგიური პრაქტიკებისათვის და გადამწყვეტ ფაქტორს ეკონომიკურ ზრდაში.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ მიწის, ტყისა და თევზის რესურსების საკუთრებისა და სარგებლობის საკითხების გონივრული მართვა მჭიდროდ არის დაკავშირებული ბუნებრივი რესურსების, მაგალითად, წყლისა და მინერალური რესურსების ხელმისაწვდომობასა და მართვაზე. ეროვნულ კონტექსტში ამ რესურსების მართვის განსხვავებული სისტემებისა და მოდელების არსებობის აღიარებასთან ერთად, სახელმწიფოებს შესაძლოა, სურდეთ, გაითვალისწინონ აღნიშნული ბუნებრივი რესურსების მართვის საკითხები წინამდებარე სახელმძღვანელო მითითებების პრაქტიკაში დანერგვისას.

მიწის, ტყისა და თევზის რესურსებზე ადამიანების, თემებისა თუ სხვა დაინტერესებული ჯგუფების წვდომის საკითხს სხვადასხვა ქვეყნის საზოგადოებები განსაზღვრავენ და არეგულირებენ საკუთრებისა და სარგებლობის საკითხების სისტემების მეშვეობით. საკუთრებისა და სარგებლობის საკითხების ეს სისტემები განსაზღვრავენ, თუ ვის, რომელი რესურსის გამოყენება შეუძლია, რა ხნის განმავლობაში და რა პირობებით. აღნიშნული სისტემები, შესაძლოა, ეფუძნებოდეს როგორც წერილობით ჩამოყალიბებულ პოლიტიკებსა და კანონებს, ისე დაუწერელ წესებსა და პრაქტიკებს. საკუთრებისა და სარგებლობის საკითხების სისტემები სულ უფრო მეტად ექვევა წინხის ქვეშ, მსოფლიოს მზარდი მოსახლეობის მხრიდან სასურსათო უსაფრთხოებაზე არსებული მოთხოვნისა და გარემოსთვის მიყენებული ზიანისა და კლიმატის ცვლილების შედეგად, შემცირებული მიწის, ტყისა და თევზის რესურსების გამო. არასათანადოდ და არასაიმედოდ დაცული საკუთრებისა და სარგებლობის უფლებები ხელს უწყობს მოწყვლადობას, შიმშილსა და სიღარიბეს და შესაძლოა, კონფლიქტამდე და გარემოს

დღგრადაციამდე მივიდეს, როდესაც კონკურენტი მომხმარებლები ბრძოლას იწყებენ აღნიშნულ რესურსებზე კონტროლის დასამყარებლად.

საკუთრებისა და სარგებლობის საკითხების მართვა გადამწყვეტი მნიშვნელობის საკითხია იმის განსაზღვრისას, შეძლებენ, თუ არა ინდივიდები, თემები და საზოგადოების სხვა ჯგუფები, ისარგებლონ უფლებებით და შეასრულონ მათთან დაკავშირებული ვალდებულებები იმისათვის, რომ გამოიყენონ და გააკონტროლონ მიწის, ტყისა და თევზის რესურსები. საკუთრებასა და სარგებლობასთან დაკავშირებული პრობლემებიდან ბევრი, სწორედ, სუსტი მართვით არის გამოწვეული, ხოლო მართვის ხარისხი გავლენას ახდენს საკუთრებისა და სარგებლობის საკითხებთან დაკავშირებული პრობლემების მოგვარების მცდელობებზე. სუსტი მმართველობა უარყოფითად აისახება სოციალურ სტაბილურობაზე, გარემოს მდგრად ათვისებასა და ინვესტიციებისა და ეკონომიკის ზრდაზე. ადამიანები შესაძლოა განწირულნი აღმოჩნდნენ შიმშილისა და სიღარიბეში ცხოვრებისათვის, თუკი ისინი დაკარგავენ საკუთრებისა და სარგებლობის უფლებას თავიანთ სახლებზე, მიწის, ტყისა და თევზის რესურსებსა და საარსებო საშუალებებზე საკუთრებისა და სარგებლობის არაჯანსაღი პრაქტიკის გამო, ანდა თუკი კომპეტენტური ორგანოები ვერ უზრუნველყოფენ მათი საკუთრებისა და სარგებლობის უფლებების დაცვას. როდესაც საკუთრებისა და სარგებლობის საკითხების სუსტი მართვა ძალადობრივ კონფლიქტში გადაიზრდება, შესაძლოა, ამას შედეგად ადამიანების სიკვდილიც კი მოჰყვეს. ასევე, პირიქით, საკუთრებისა და სარგებლობის საკითხების პასუხისმგებლიანი მართვა ხელს უწყობს მდგრად სოციალურ და ეკონომიკურ განვითარებას, რომელსაც შეუძლია, წვლილი შეიტანოს სიღარიბის აღმოფხვრასა და სასურსათო უსაფრთხოების გაძლიერებაში, ასევე, წახალისოს პასუხისმგებლიანი ინვესტიციები.

მზარდი და საყოველთაო ინტერესის საპასუხოდ, გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციამ (FAO) და მისმა პარტნიორებმა გადაწყვიტეს, შემუშავებინათ საკუთრებისა და სარგებლობის საკითხების მართვასთან დაკავშირებული სახელმძღვანელო მითითებები. აღნიშნული ინიციატივა ეფუძნება და მხარს უჭერს „ეროვნულ დონეზე სასურსათო უსაფრთხოების კონტექსტში, ადეკვატურ საკვებზე უფლების ეტაპობრივი რეალიზების შესახებ“ ნებაყოფლობით შესასრულებელ სახელმძღვანელო მითითებებს (ნებაყოფლობით შესასრულებელი სახელმძღვანელო მითითებები საკვებზე უფლებასთან დაკავშირებით), რომელიც FAO-ს საბჭომ დაამტკიცა 2004 წლის ნოემბერში 127-ე ყრილობაზე და 2006 წელს - აგრარული რეფორმისა და სოფლის განვითარების საერთაშორისო კონფერენციაზე.

სასურსათო უსაფრთხოების მსოფლიო კომიტეტმა (Committee on World Food Security, CSF), 2010 წლის ოქტომბერში, თავის რიგით 36-ე სესიაზე, მხარი დაუჭირა ინკლუზიური პროცესების გაგრძელებას წინამდებარე სახელმძღვანელო მითითებების შემუშავებისათვის, რათა შემდგომში მომხდარიყო CSF-ისათვის მისი განსახილველად წარდგენა. კომიტეტმა გადაწყვიტა, რომ ჩამოეყალიბებინა CSF-ის თავისუფალი სამუშაო ჯგუფი, სახელმძღვანელო მითითებების პირველადი სამუშაო ვერსიის გადასინჯვის მიზნით.

წინამდებარე სახელმძღვანელო მითითებების ფორმატი მიახლოებულია FAO-ს ნებაყოფლობითი ინსტრუმენტების ფორმატთან, რომლებიც განსაზღვრავენ პრინციპებს და საერთაშორისოდ აღიარებულ სტანდარტებს გონივრული პრაქტიკებისათვის. ესენია: ნებაყოფლობითი სახელმძღვანელო მითითებები საკვებზე ხელმისაწვდომობის

უფლებსათვის; გონივრული მეთევზეობის ქცევის კოდექსი; პესტიციდების მოხმარებისა და გავრცელების საერთაშორისო ქცევის კოდექსი; გაშენებული ტყეების გონივრული მართვა: ნებაყოფლობითი სახელმძღვანელო მითითებები; და ხანძრების მართვის ნებაყოფლობითი სახელმძღვანელო მითითებები: პრინციპები და სტრატეგიული ზომები. აღნიშნული ინსტრუმენტები წარმოადგენს შედარებით მცირე ზომის დოკუმენტებს, რომლებიც ქმნიან ერთგვარ ჩარჩოს, რომლის გამოყენება შესაძლებელია მაშინ, როდესაც ხდება სტრატეგიებზე, პოლიტიკებზე, კანონებზე, პროგრამებსა და ღონისძიებებზე მუშაობა. მათ თან ერთვის დამატებითი დოკუმენტების მთელი წყება, როგორცაა დამატებითი სახელმძღვანელო მითითებები, რომლებიც მოიცავენ სპეციფიურ ასპექტებთან დაკავშირებულ ტექნიკურ დეტალებს საჭიროების მიხედვით, ტრენინგისა და მხარდაჭერისათვის საჭირო მასალებს და შემდგომ სახელმძღვანელო პრინციპებს შესრულების შეფასებისთვის.

აღნიშნული სახელმძღვანელო მითითებების დოკუმენტები CFS-მა 2012 წლის 11 მაისს 38-ე (სპეციალურ) სესიაზე დაამტკიცა.

აღნიშნული დოკუმენტები 2011 წლის ივნისში, ივლისსა და ოქტომბერში და 2012 წლის მარტში ჩატარებულ სესიებზე შეიმუშავა ღია სამუშაო ჯგუფმა. დოკუმენტი ეფუძნება კონსულტაციების ინკლუზიურ პროცესებს, რომლებიც 2009-2010 წლებში მიმდინარეობდა. რეგიონული კონსულტაციები გაიმართა ბრაზილიაში, ბურკინა-ფასოში, ეთიოპიაში, იორდანიაში, ნამიბიაში, პანამაში, რუმინეთში, რუსეთის ფედერაციაში, სამოასა და ვიეტნამში. აღნიშნულმა რეგიონულმა კონსულტაციებმა თავი მოუყარა 700-მდე ადამიანს 133 ქვეყნიდან, რომლებიც წარმოადგენდნენ როგორც საჯარო და კერძო სექტორებს, ასევე სამოქალაქო და აკადემიურ საზოგადოებებს. კონსულტაციების ოთხი რაუნდი გაიმართა სპეციალურად სამოქალაქო საზოგადოებისათვის აფრიკაში (მალისი); აზიაში (მალაიზიაში); ევროპასა და ცენტრალურ და დასავლეთ აზიაში (იტალიაში) და ლათინურ ამერიკაში (ბრაზილიაში), რომელსაც 70 ქვეყნიდან 200-მდე ადამიანი ესწრებოდა, ხოლო, დამატებით, კერძო სექტორთან კონსულტაციებმა 70-ზე მეტ ადამიანს მოუყარა თავი 21 ქვეყნიდან. წინამდებარე სახელმძღვანელო მითითებები, ასევე, მოიცავს შესწორებებს, რომლებიც „ნულოვან სამუშაო დოკუმენტთან“ დაკავშირებით ელექტრონული კონსულტაციების მეშვეობით იქნა წარმოდგენილი. ნულოვან სამუშაო დოკუმენტთან დაკავშირებით შესწორებები მიღებულ იქნა საჯარო და კერძო სექტორის, სამოქალაქო და აკადემიური საზოგადოებისგან, მთელი მსოფლიოს მასშტაბით.

წინამდებარე სახელმძღვანელო მითითებები თანხვედრაშია და ემყარება საერთაშორისო და რეგიონულ ინსტრუმენტებს, მათ შორის, ათასწლეულის განვითარების იმ მიზნებს, რომელიც ადამიანის უფლებებსა და საკუთრებისა და სარგებლობის უფლებებს ეხება. თუ ამ სახელმძღვანელო მითითებების მკითხველებს საკუთრებისა და სარგებლობის საკითხების მართვის გაუმჯობესება სურთ, რეკომენდირებულია, რომ დაინტერესებულმა პირებმა რეგულარულად გადახედონ ამგვარ ინსტრუმენტებს, რათა დაადგინონ თავისთვის შესაფერისი და ნებაყოფლობით შესასრულებელი ვალდებულებები, და მიიღონ დამატებითი ღონისძიებები მართვის გასაუმჯობესებლად.

ნაწილი 1

შესავალი

1. მიზნები

1.1 წინამდებარე ნებაყოფლობითი სახელმძღვანელო მითითებები მიზნად ისახავს მიწის¹, ტყისა და თევზის რესურსების საკუთრებისა და სარგებლობის საკითხების მართვის გაუმჯობესებას. ის ცდილობს, დააკმაყოფილოს თითოეული ადამიანის ინტერესები და განსაკუთრებულ აქცენტს აკეთებს მოწყვლად და მარგინალიზებულ ჯგუფებზე ისეთი მიზნების მისაღწევად, როგორცაა სასურსათო უსაფრთხოება და ადეკვატურ საკვებზე უფლების პროგრესული რეალიზება, სიღარიბის აღმოფხვრა, ხელმისაწვდომობა მდგრად საარსებო საშუალებებზე, სოციალური სტაბილურობა, უსაფრთხო საცხოვრისი, სოფლის განვითარება, გარემოს დაცვა და მდგრადი სოციალური და ეკონომიკური განვითარება. ამ სახელმძღვანელო მითითებების გამოყენებით საკუთრებისა და სარგებლობის საკითხების მართვის გაუმჯობესებაზე მიმართული ყოველგვარი პროგრამა, პოლიტიკა თუ ტექნიკური მხარდაჭერის ზომები უნდა შეესაბამებოდეს საერთაშორისო კანონმდებლობით, მათ შორის, ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციისა და ადამიანის უფლებათა დაცვის სხვა საერთაშორისო ინსტრუმენტებით სახელმწიფოებზე დაკისრებულ ვალდებულებებს.

1.2 წინამდებარე სახელმძღვანელო მითითებები მიზნად ისახავს:

1. გაუმჯობესოს საკუთრებისა და სარგებლობის საკითხების მართვა, საერთაშორისოდ მიღებული პრაქტიკების შესახებ სახელმძღვანელო მითითებებისა და ინფორმაციის მიწოდების გზით, იმ სისტემებისთვის, რომლებიც დაკავშირებულია მიწის, ტყისა და თევზის რესურსების გამოყენებას, მართვასა და კონტროლთან.
2. წვლილი შეიტანოს პოლიტიკის, კანონმდებლობისა და ორგანიზაციული სტრუქტურის გაუმჯობესებასა და განვითარებაში, რომელიც არეგულირებს აღნიშნულ რესურსებზე საკუთრებისა და სარგებლობის უფლებების გავრცელების არეალს.

¹ არ არსებობს მიწის საერთაშორისოდ აღიარებული განსაზღვრება საკუთრებისა და სარგებლობის კონტექსტში. აღნიშნული სიტყვის მნიშვნელობის განმარტება შესაძლოა მოხდეს ეროვნულ კონტექსტში.

3. გაზარდოს გამჭვირვალობა და გააუმჯობესოს საკუთრებისა და სარგებლობის სისტემების ფუნქციონირება.
4. გაუძლიეროს შესაძლებლობები განხორციელებაზე პასუხისმგებელ ორგანოებს, სასამართლო ორგანოებს, ადგილობრივ მთავრობებს, მეთევზეობისა და ტყის რესურსების მომხმარებელ ფერმერთა და მცირე მეწარმეთა ორგანიზაციებს, მკვიდრ მოსახლეობასა და სხვა თემებს, სამოქალაქო საზოგადოებას, კერძო სექტორს, სამეცნიერო წრეებსა და ყველა იმ ადამიანს, რომელიც დაინტერესებულია საკუთრებისა და სარგებლობის საკითხების მართვის საკითხებით. ასევე, ხელი შეუწყოს ზემოჩამოთვლილ სუბიექტთა შორის თანამშრომლობას.

2. დოკუმენტის ხასიათი და ფარგლები

2.1 წინამდებარე სახელმძღვანელო მითითებები ნებაყოფლობითია.

2.2 ამ მითითებების ინტერპრეტაცია და გამოყენება უნდა მოხდეს ეროვნული და საერთაშორისო კანონმდებლობით ნაკისრი ვალდებულებების შესაბამისად და შესაბამისი რეგიონული და საერთაშორისო ინსტრუმენტებით გათვალისწინებული ნებაყოფლობით შესასრულებელი ვალდებულებებისადმი სათანადო პასუხისმგებლობით. ისინი მხარს უჭერენ და აძლიერებენ ეროვნულ, რეგიონულ და საერთაშორისო ინიციატივებს, რომლებიც შეეხება ადამიანის უფლებებს და უზრუნველყოფს მიწის, ტყისა და თევზის რესურსებზე საკუთრებისა და სარგებლობის უფლებას, ისევე, როგორც მართვის გაუმჯობესების მიზნით არსებულ ინიციატივებს. წინამდებარე სახელმძღვანელო მითითებები არავითარ შემთხვევაში არ უნდა იქნეს გაგებული როგორც შემზღუდავი ანდა როგორც ეროვნული კანონმდებლობით გათვალისწინებულ სახელმწიფო ვალდებულებებთან წინააღმდეგობაში მყოფი.

2.3 წინამდებარე სახელმძღვანელო მითითებები შესაძლოა გამოიყენონ სახელმწიფოებმა; აღსრულებაზე პასუხისმგებელმა ორგანოებმა; სასამართლო ორგანოებმა; ადგილობრივმა ხელისუფლებებმა; ტყისა და თევზის რესურსების მომხმარებელ ფერმერთა თუ მცირე მეწარმეთა ორგანიზაციებმა; მომთაბარეებმა, რომლებიც მეცხოველეობას მისდევენ; მკვიდრმა ხალხებმა და სხვა თემებმა; სამოქალაქო საზოგადოებამ; კერძო სექტორმა; აკადემიურმა სფერომ და ყველა იმ ადამიანმა, რომელიც დაინტერესებულია საკუთრებისა და სარგებლობის საკითხების მართვის შეფასებითა და მათი გაუმჯობესების გზების დადგენითა და დანერგვით.

2.4 წინამდებარე სახელმძღვანელო მითითებები გლობალური მასშტაბისაა. ეროვნული კონტექსტის გათვალისწინებით, იგი შესაძლოა გამოყენებული იყოს ყველა სახელმწიფოსა და რეგიონის მიერ ეკონომიკური განვითარების ყველა საფეხურსა და საკუთრებისა და სარგებლობის საკითხების მართვის ყველა ფორმაში, მათ შორის, საჯარო, კერძო, სათემო, კოლექტიურ, მკვიდრ თუ ტრადიციულ ფორმაში.

2.5 წინამდებარე სახელმძღვანელო მითითებების ინტერპრეტაცია და გამოყენება უნდა მოხდეს ეროვნულ საკანონმდებლო სისტემებსა და მათ ინსტიტუტებთან თანხმობაში.

ნაწილი 2

ზოგადი საკითხები

მითითებების ეს ნაწილი შეეხება მიწის, ტყისა და თევზის რესურსების საკუთრებისა და სარგებლობის საკითხების მართვის უფლებებსა და ვალდებულებებს; პოლიტიკას, საკანონმდებლო და ორგანიზაციულ ჩარჩოს; ასევე, მომსახურების გაწევას.

საკუთრებისა და სარგებლობის საკითხების მართვის კონტექსტში, სახელმწიფოებს აკისრიათ ვალდებულებები ადამიანის უფლებების შესაბამისი საერთაშორისო ინსტრუმენტების ფარგლებში. ამ დოკუმენტის მეორე ნაწილის წაკითხვა უნდა მოხდეს 2.2 პარაგრაფთან თანხმობაში.

3. საკუთრებისა და სარგებლობის საკითხების გონივრული მართვის სახელმძღვანელო პრინციპები

3ა. ზოგადი პრინციპები

3.1 სახელმწიფოებმა:

1. პატივი უნდა სცენ და აღიარონ საკუთრებისა და სარგებლობის უფლების ყველა კანონიერი მფლობელი და მათი უფლებები. უნდა გაატარონ სათანადო ზომები საკუთრებისა და სარგებლობის უფლებების ლეგიტიმური მფლობელებისა და მათი უფლებების იდენტიფიცირების, დაფიქსირებისა და პატივისცემისათვის, ფორმალურად თუ არაფორმალურად; სხვა სუბიექტთა საკუთრებისა და სარგებლობის უფლებების დარღვევისაგან თავის შესაკავებლად; და საკუთრებისა და სარგებლობის უფლებებთან დაკავშირებული სხვა ვალდებულებების შესასრულებლად.
2. უნდა უზრუნველყონ საკუთრებისა და სარგებლობის ლეგიტიმური უფლების დაცვა საფრთხეებისა და დარღვევისაგან. უნდა უზრუნველყონ საკუთრებისა და სარგებლობის უფლების მფლობელთა დაცვა აღნიშნული უფლების უნებლიე ხელყოფისაგან, მათ შორის, იძულებითი გამოსახლებისაგან, რომელსაც ეროვნული თუ საერთაშორისო კანონით ნაკისრი ვალდებულებები არ ითვალისწინებს.

3. ხელი უნდა შეუწყონ და წაახალისონ საკუთრებისა და სარგებლობის ლეგიტიმური უფლებით სარგებლობა. უნდა გაატარონ აქტიური ზომები, რათა ხელი შეუწყონ და წაახალისონ საკუთრებისა და სარგებლობის უფლების რეალიზება ანდა აღნიშნული უფლების გადაცემა, მაგალითად სერვისების საყოველთაო ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის სახით.
4. უნდა უზრუნველყონ მართლმსაჯულებაზე წვდომა საკუთრებისა და სარგებლობის ლეგიტიმური უფლებების დარღვევების რეგულირებისათვის. მათ უნდა უზრუნველყონ ყველასათვის ხელმისაწვდომი და ეფექტიანი ინსტრუმენტების არსებობა, სასამართლო ინსტიტუტების თუ სხვა მიდგომების მეშვეობით, საკუთრებისა და სარგებლობის უფლებასთან დაკავშირებული დავების გადასაწყვეტად; და მიღებული გადაწყვეტილებების დროული და ეფექტიანი აღსრულება. სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს დროული და სამართლიანი კომპენსაცია, როდესაც საკუთრებისა და სარგებლობის უფლების ჩამორთმევა საზოგადოებრივი საჭიროებისთვის ხდება.
5. ხელი უნდა შეუშალონ საკუთრებისა და სარგებლობის საკითხებთან დაკავშირებულ დავებს, ძალადობრივ კონფლიქტებსა და კორუფციას. უნდა გაატარონ აქტიური ზომები საკუთრებისა და სარგებლობის საკითხებზე დავების დაწყებისა და მათი ძალადობრივ კონფლიქტში გადაზრდის თავიდან ასარიდებლად. უნდა ისწრაფოდნენ ნებისმიერ მოცემულობაში კორუფციის ყველა ფორმის ყველა დონეზე აღმოფხვრისაკენ.

3.2 არასახელმწიფო სტრუქტურები, მათ შორის, კომერციული საწარმოები ვალდებული არიან, პატივი სცენ ადამიანის უფლებებსა და საკუთრებისა და სარგებლობის საკითხებთან დაკავშირებულ კანონიერ უფლებებს. კომერციულმა საწარმოებმა უნდა გაიღონ სათანადო ძალისხმევა, რათა თავიდან აიცილონ ადამიანის უფლებებისა და სხვების საკუთრებისა და სარგებლობის საკითხებთან დაკავშირებული ლეგიტიმური უფლების ხელყოფა. აღნიშნული ძალისხმევა უნდა ითვალისწინებდეს რისკების მართვის სათანადო სისტემების არსებობას, რათა დროულად მოხდეს ადამიანის უფლებებისა და საკუთრებისა და სარგებლობის საკითხებთან დაკავშირებული კანონიერი უფლებებისათვის ზიანის მიყენების შემთხვევების თავიდან არიდება და მათზე რეაგირება. როდესაც კომერციული საწარმოების საქმიანობამ გამოიწვია ან წვლილი შეიტანა ადამიანის უფლებებსა და საკუთრებისა და სარგებლობის საკითხებთან დაკავშირებულ კანონიერ უფლებებზე უარყოფით ზეგავლენაში, ზიანის ასანაზღაურებლად, ამ საწარმოებმა, უნდა ითანამშრომლონ არასასამართლო მექანიზმებთან, მათ შორის, საჭიროების შემთხვევაში, შექმნან ოპერაციულ დონეზე საჩივრების განხილვის მექანიზმები. კომერციულმა საწარმოებმა უნდა განსაზღვრონ და შეაფასონ ადამიანის და საკუთრებისა და სარგებლობის საკითხებთან დაკავშირებულ შესაბამის ლეგიტიმურ უფლებებზე ის არსებული ან პოტენციური ზეგავლენა, რომლის წარმოქმნაშიც ისინი შესაძლოა, ჩართულები აღმოჩნდნენ. სახელმწიფოებმა, საერთაშორისო ვალდებულებების გათვალისწინებით, უნდა უზრუნველყონ ეფექტიანი სამართლებრივი ზომების გატარება კომერციული საწარმოების მიერ ადამიანისა და საკუთრებისა და სარგებლობის საკითხებთან დაკავშირებულ კანონიერ უფლებებზე უარყოფითი გავლენის აღმოსაფხვრელად. როდესაც

საქმე ტრანსნაციონალურ კორპორაციებს შეეხება, სახელმწიფოებმა, სადაც ისინი რეგისტრირებულნი არიან, უნდა შეასრულონ წამყვანი როლი და დაეხმარონ მასპინძელ ქვეყნებსა და თავად ამ კომპანიებს, რომ კომერციული საწარმოები არ აღმოჩნდნენ ჩართული ადამიანისა და საკუთრებისა და სარგებლობის საკითხებთან დაკავშირებული კანონიერი უფლებების დარღვევაში. სახელმწიფოებმა უნდა გასწიონ დამატებითი ძალისხმევა, რომ ადამიანისა და საკუთრებისა და სარგებლობის საკითხებთან დაკავშირებული უფლებების დარღვევაში ჩაბმულნი არ აღმოჩნდნენ კომერციული საწარმოები, რომელთაც ფლობს ან აკონტროლებს სახელმწიფო, ან რომლებიც მნიშვნელოვან დახმარებასა თუ მომსახურებას იღებენ სახელმწიფო სტრუქტურებისაგან.

3ბ. განხორციელების პრინციპები

ქვემოთ მოყვანილ განხორციელების პრინციპებს გადამწყვეტი მნიშვნელობა აკისრია მიწის, ტყისა და თევზის რესურსების საკუთრებისა და სარგებლობის საკითხის გონივრული მართვის თვალსაზრისით.

1. **ადამიანური ღირსება:** თითოეული ინდივიდის განუყოფელი ღირსებისა და თანასწორი და ხელშეუვალი ადამიანის უფლებების აღიარება.
2. **არადისკრიმინაციულობა:** არავინ უნდა გახდეს დისკრიმინაციის მსხვერპლი როგორც კანონისა და პოლიტიკის დონეზე, ისე პრაქტიკაში.
3. **თანასწორობა და სამართლიანობა:** იმის აღიარება, რომ ინდივიდთა შორის თანასწორობა შესაძლოა მოითხოვდეს აღნიშნულ ინდივიდთა შორის სხვაობის აღიარებას და პოზიტიური, მათ შორის, გაძლიერებაზე მიმართული ნაბიჯების გადადგმას, რათა უზრუნველყოფილი იყოს მიწის, ტყისა და თევზის რესურსების საკუთრებისა და სარგებლობის უფლებაზე თანაბარი წვდომა თითოეული ქალისა თუ მამაკაცის, ახალგაზრდისა თუ მოწყვლადი და ტრადიციულად მარგინალიზებული ადამიანთა ჯგუფების მიერ.
4. **გენდერული თანასწორობა:** იმის უზრუნველყოფა, რომ ქალებმა და კაცებმა თანაბრად ისარგებლონ ადამიანის უფლებებით, ქალებსა და კაცებს შორის არსებული განსხვავებების აღიარებისა და საჭიროების შემთხვევაში დე ფაქტო თანასწორობის ხელშეწყობაზე გათვლილი სპეციფიკური ზომების გატარების პარალელურად. სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ, რომ მიუხედავად მათი სამოქალაქო თუ ოჯახური სტატუსისა, ქალებსა და გოგონებს ჰქონდეთ მიწის, ტყისა და თევზის რესურსების საკუთრებისა და სარგებლობის თანაბარი უფლება.
5. **ერთიანობა და მდგრადი მიდგომა:** იმის აღიარება, რომ ბუნებრივი რესურსები და მათი გამოყენება ურთიერთდაკავშირებული საკითხებია და მათი ადმინისტრირებისათვის ერთიანი და მდგრადი მიდგომის დანერგვა.
6. **კონსულტაცია და მონაწილეობა:** გადაწყვეტილების მიღებამდე თანამშრომლობა მათთან, ვინც საკუთრებისა და სარგებლობის საკითხებთან დაკავშირებულ კანონიერ

- უფლებას ფლობს და მისით სარგებლობს და ვისაც შესაძლოა შეეხოს მიღებული გადაწყვეტილებები და მათ მოსაზრებებზე რეაგირება; სხვადასხვა ჩართულ მხარეს შორის არსებული ძალაუფლების დისბალანსის გათვალისწინება და გადაწყვეტილების მიღების პროცესთან დაკავშირებული ინდივიდებისა და ჯგუფების აქტიური, თავისუფალი, ეფექტიანი, არსებითი და ინფორმირებული მონაწილეობის უზრუნველყოფა.
7. **კანონის უზენაესობა:** სამართლებრივი მიდგომის დამკვიდრება შესაბამის ენებზე საყოველთაოდ გავრცელებული კანონების მეშვეობით, რომლებიც მიემართება ყველას, ინერგება თანასწორად და მიიღება თავისუფლად და თანხვედრაშია ეროვნული თუ საერთაშორისო კანონმდებლობით გათვალისწინებულ ვალდებულებებთან და სათანადო პასუხისმგებლობით ეკიდება რეგიონული თუ საერთაშორისო ინსტრუმენტებით გათვალისწინებული ნებაყოფლობით შესასრულებელი ვალდებულებების შესრულებას.
 8. **გამჭვირვალობა:** საჭირო ენებზე გასაგებად განმარტებული და ფართოდ გავრცელებული პოლიტიკის დოკუმენტები, კანონები და პროტოკოლები და საჭირო ენებზე და ყველასათვის ხელმისაწვდომ ფორმატში ფართოდ გავრცელებული გადაწყვეტილებები.
 9. **ანგარიშვალდებულება:** კანონის უზენაესობის პრინციპების დაცვით ინდივიდების, სახელმწიფო და არასახელმწიფო სტრუქტურებისათვის თავიანთ ქმედებებსა და გადაწყვეტილებებზე პასუხისმგებლობის დაკისრება.
 10. **მუდმივი გაუმჯობესება:** სახელმწიფოებმა უნდა დახვეწონ საკუთრებისა და სარგებლობის საკითხების მართვის მონიტორინგისა და ანალიზის მექანიზმები, რათა ხელი შეუწყონ ფაქტებზე დაფუძნებული პროგრამების განვითარებას და უზრუნველყონ მუდმივი გაუმჯობესება.

4. საკუთრებისა და სარგებლობის საკითხებთან დაკავშირებული უფლებები და ვალდებულებები

4.1 სახელმწიფოები უნდა ისწრაფოდნენ საკუთრებისა და სარგებლობის საკითხების გონივრული მართვის უზრუნველყოფისაკენ, ვინაიდან მიწის, ტყისა და თევზის რესურსებს გადამწყვეტი მნიშვნელობა აკისრია ადამიანის უფლებების რეალიზაციაში დანერგვის, სასურსათო უსაფრთხოების, სიღარიბის აღმოფხვრის, მდგრადი მეურნეობების, სოციალური სტაბილურობის, საცხოვრებლის უსაფრთხოების, სოფლის განვითარებისა და სოციალური და ეკონომიკური ზრდის საკითხებში.

4.2 სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ, რომ საკუთრებისა და სარგებლობის საკითხებთან და მათ მართვასთან დაკავშირებული ყოველი ქმედება თანხვედრაში მოდიოდეს ეროვნული თუ საერთაშორისო კანონმდებლობით ნაკისრ ვალდებულებებთან და სათანადო

პასუხისმგებლობით მოეკიდოს შესაბამისი რეგიონული და საერთაშორისო ინსტრუმენტებით გათვალისწინებულ ნებაყოფლობით შესასრულებელ ვალდებულებებს.

4.3 ყველა მხარემ უნდა აღიაროს, რომ საკუთრებისა და სარგებლობის საკითხთან დაკავშირებული უფლება, მათ შორის, კერძო საკუთრებაზე უფლება, არ არის აბსოლუტური უფლება. საკუთრებისა და სარგებლობის საკითხთან დაკავშირებული ყოველი უფლება შეზღუდულია სხვათა უფლებებითა და სახელმწიფოს მიერ საზოგადოებრივი საჭიროების დასაკმაყოფილებლად გასაწევი ზომებით. აღნიშნული ზომები განსაზღვრული უნდა იყოს კანონმდებლობით ზოგადი კეთილდღეობის, მათ შორის, გარემოს დაცვის ხელშეწყობის მიზნით და უნდა შეესაბამებოდეს ადამიანის უფლებების დაცვის სფეროში სახელმწიფოთა მიერ ნაკისრ ვალდებულებებს. საკუთრებისა და ვალდებულებების საკითხებთან დაკავშირებული უფლებები ასევე ბალანსდება ვალდებულებებით. ყველამ უნდა უნდა სცეს პატივი მიწის, ტყისა და თევზის რესურსების გრძელვადიანი და მდგრადი გამოყენების პრინციპს.

4.4 ეროვნული კანონმდებლობის გათვალისწინებით, საკუთრებისა და სარგებლობის საკითხების უფლების ხასიათიდან გამომდინარე, სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ, რომ მოხდეს საკუთრებისა და სარგებლობის უფლების კანონის დონეზე აღიარება, თუკი ამჟამად იგი საკანონმდებლო დონეზე დაცული არ არის. საკუთრებისა და სარგებლობის საკითხებთან დაკავშირებული პოლიტიკური ზომები და კანონები უნდა იყოს არადისკრიმინაციული და გენდერულად მგრძობიარე. წინამდებარე სახელმძღვანელო მითითებებში ნახსენები კონსულტაციისა და მონაწილეობის პრინციპებიდან გამომდინარე, სახელმწიფოებმა საჯაროდ განცხადებული წესების თანახმად უნდა დაადგინონ უფლებათა კატეგორიები, რომლებიც უნდა მიიჩნეოდეს კანონიერად. საკუთრებისა და სარგებლობის ნებისმიერი ფორმა თითოეულ ადამიანს უნდა უჩენდეს საკუთრებისა და სარგებლობის საიმედოობის ისეთ განცდას, რომელიც დაიცავს ჩაგვრისა თუ სხვა ტიპის საფრთხეებისაგან და შექმნის ქონების ჩამორთმევისაგან დაცვის კანონიერ გარანტიას, როდესაც აღნიშნული პროცესი თანხმობაში არ მოდის სახელმწიფოს მიერ ეროვნულ თუ საერთაშორისო კანონმდებლობის დონეზე აღებულ ვალდებულებებთან.

4.5 სახელმწიფოებმა უნდა დაიცვან საკუთრებისა და სარგებლობის კანონიერი უფლება და უნდა უზრუნველყონ, რომ არ მოხდეს ადამიანების თვითნებური გამოსახლება და მათი საკუთრებისა და სარგებლობის კანონიერი უფლების ჩამორთმევა ან სხვაგვარი დარღვევა.

4.6 სახელმწიფოებმა უნდა აღმოფხვრან და აკრძალონ საკუთრებისა და სარგებლობის უფლებასთან დაკავშირებული დისკრიმინაციის ყველა ფორმა, მათ შორის, რომელიც შესაძლოა გამოწვეული იყოს ოჯახური მდგომარეობის ცვლილებით და სამართლებრივი ბერკეტებისა და ეკონომიკური რესურსების დეფიციტით. კერძოდ, სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ, რომ ქალებსა და კაცებს ჰქონდეთ საკუთრებისა და სარგებლობის თანასწორი უფლებები, მათ შორის, ამ უფლებების მემკვიდრეობით მიღებისა და ანდერძით დატოვების უფლება. სახელმწიფოთა ეს ზომები თანხმობაში უნდა მოდიოდეს ეროვნული თუ საერთაშორისო კანონმდებლობის ფარგლებში აღებულ ვალდებულებებთან და სათანადო პასუხისმგებლობით უნდა მოეკიდოს რეგიონული თუ საერთაშორისო ინსტრუმენტებით გათვალისწინებული ნებაყოფლობით შესასრულებელი ვალდებულებების შესრულებას.

4.7 როდესაც ადამიანებს არ შესწევთ ძალა, რომ საკუთარი ძალისხმევით მოიპოვონ არსებობისათვის აუცილებელი საკუთრებისა და სარგებლობის უფლებები; რომ ჰქონდეთ წვდომა აღნიშნული უფლებების აღსრულებაზე პასუხისმგებელ და სასამართლო ორგანოებზე; ანდა რომ მონაწილეობა მიიღონ პროცესებში, რომლებიც მათ ხელთარსებულ საკუთრებისა და სარგებლობის უფლებებზე მოახდენს გავლენას, სახელმწიფოებმა უნდა განიხილონ არადისკრიმინაციული და გენდერულად მგრძობიარე მხარდაჭერის ზომების გატარების შესაძლებლობები.

4.8 იმის გათვალისწინებით, რომ ადამიანის უფლებები არის უნივერსალური, განუყოფელი, ურთიერთდამოკიდებული და ურთიერთდაკავშირებული, მიწის, ტყისა და თევზის რესურსების საკუთრებისა და სარგებლობის საკითხების მართვა უნდა ითვალისწინებდეს არა მხოლოდ იმ უფლებებს, რომლებიც პირდაპირ არის დაკავშირებული მიწის, ტყისა და თევზის რესურსების ხელმისაწვდომობასთან, არამედ ასევე სამოქალაქო, პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებები. ამ პროცესში სახელმწიფოებმა პატივი უნდა სცენ და დაიცვან იმათი სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებები, ვინც მუშაობს ადამიანის უფლებებს, მათ შორის, გლეხების, მკვიდრი მოსახლეობის, მეთევზეების, მეცხოველე მომთაბარეების და სოფლად მომუშავეთა უფლებების დასაცავად და ზედამხედველობა უნდა გაუწიოს ადამიანის უფლებების კუთხით მათზე დაკისრებულ ვალდებულებებს, როდესაც შეხება აქვს ინდივიდებთან და გაერთიანებებთან, რომელთაც მიწის, ტყისა და თევზის რესურსების დაცვის ინტერესი ამოძრავებთ.

4.9 სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ წვდომა, მიუკერძოებელი და კომპეტენტური სასამართლო და ადმინისტრაციული ორგანოების მეშვეობით, საკუთრებისა და სარგებლობის უფლებასთან დაკავშირებული დავების დროული, ხელმისაწვდომი და ეფექტიანი გადაჭრის საშუალებებზე, მათ შორის ალტერნატიულ საშუალებებზე და უნდა შექმნან ეფექტიანი საკანონმდებლო საშუალებები, რომელიც საჭიროების შემთხვევაში შესაძლოა ითვალისწინებდეს გასაჩივრების უფლებასაც. აღნიშნული საშუალებები დაუყოვნებლივ უნდა შევიდეს ძალაში და შესაძლოა მოიცავდეს რესტიტუციას, ზარალის ანაზღაურებას, კომპენსაციას და რეპარაციას. სახელმწიფოები უნდა ესწრაფოდნენ, რომ აღნიშნულ საშუალებებზე ხელი მიუწვდებოდეთ მოწყვლად და მარგინალიზებულ ადამიანებს 6.6 და 21.6 პარაგრაფებთან თანხმობაში. სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ, რომ თითოეული ადამიანს, რომლის უფლებაც ირღვევა საკუთრებისა და სარგებლობის საკითხების კონტექსტში, ხელი მიუწვდება დავათა მოგვარებისა და უფლებათა დაცვის ამგვარ საშუალებებზე.

4.10 სახელმწიფო უნდა მიესალმოს და ხელი შეუწოს მიწის, ტყისა და თევზის რესურსების მომხმარებელთა მონაწილეობას, რათა ისინი სრულად იყვნენ ჩართულნი საკუთრებისა და სარგებლობის საკითხების მართვის პროცესში, მათ შორის, ტერიტორიულ განვითარებასთან დაკავშირებული პოლიტიკის, კანონმდებლობისა და გადაწყვეტილებების განსაზღვრასა და განხორციელებაში, სახელმწიფო და არასახელმწიფო სტრუქტურების ფუნქციისა და ადგილობრივი და საერთაშორისო კანონმდებლობის შესაფერისად.

5. საკუთრებისა და სარგებლობის საკითხებთან დაკავშირებული პოლიტიკის, საკანონმდებლო და ორგანიზაციული მექანიზმები

5.1 სახელმწიფოებმა უნდა შექმნან და განავითარონ პოლიტიკის, საკანონმდებლო და ორგანიზაციული მექანიზმები, რომლებიც ხელს შეუწობს მიწის, ტყისა და თევზის რესურსების საკუთრებისა და სარგებლობის საკითხების გონივრულ მართვას. აღნიშნული მექანიზმების საფუძველს წარმოადგენს და აძლიერებს უფრო ზოგადი ტიპის რეფორმები საკანონმდებლო სისტემაში, სახელმწიფო სერვისებსა და სასამართლო ორგანოებში.

5.2 სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ რომ საკუთრებისა და სარგებლობის საკითხების მართვასთან დაკავშირებული პოლიტიკის, საკანონმდებლო და ორგანიზაციული მექანიზმები თანხვედრაშია ეროვნული და საერთაშორისო კანონმდებლობით ნაკისრ ვალდებულებებთან და სათანადო პასუხისმგებლობით ეკიდება რეგიონული თუ საერთაშორისო ინსტრუმენტებით გათვალისწინებული ნებაყოფლობით შესასრულებელი ვალდებულებების შესრულებას.

5.3 სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ რომ საკუთრებისა და სარგებლობის საკითხების მართვასთან დაკავშირებული პოლიტიკის, საკანონმდებლო და ორგანიზაციული მექანიზმები, ეროვნულ კანონმდებლობასთან თანხმობაში, სცნობს და პატივს სცემს საკუთრებისა და სარგებლობის ლეგიტიმურ უფლებებს, მათ შორის, საკუთრებისა და სარგებლობის ტრადიციულ უფლებებს, რომელიც ჯერჯერობით კანონის ძალით არ არის დაცული; გარდა ამისა, სახელმწიფომ ხელი უნდა შეუწყოს, განავითაროს და დაიცვას საკუთრებისა და სარგებლობის უფლებების რეალობაში განხორციელების პრაქტიკა. მექანიზმებში უნდა აისახოს მიწის, ტყისა და თევზის რესურსების სოციალური, კულტურული, ეკონომიკური და გარემოსდაცვითი მნიშვნელობა. სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ ისეთი მექანიზმების შექმნა, რომლებიც არ ახდენს არავის დისკრიმინაციას და ხელს უწყობს სოციალურ სამართლიანობასა და გენდერულ თანასწორობას. მექანიზმებში უნდა აისახოს მიწის, ტყისა და თევზის რესურსებისა და მათი მოხმარების ერთმანეთზე დამოკიდებულება და მათი ადმინისტრირების დროს უნდა მოხდეს ინტეგრირებული მიდგომის დანერგვა.

5.4 სახელმწიფოებმა უნდა გაითვალისწინონ სპეციფიკური სირთულეები, რომელსაც ქალები და გოგონები აწყდებიან საკუთრებისა და სარგებლობის და მასთან დაკავშირებული უფლებების თვალსაზრისით და უნდა გაატარონ ზომები, რათა უზრუნველყოფილი იქნეს, რომ საკანონმდებლო და პოლიტიკის მექანიზმებმა სათანადოდ დაიცვას ქალები, ხოლო კანონები, რომლების მეშვეობითაც ქალთა საკუთრებისა და სარგებლობის უფლების აღიარება ხდება, პრაქტიკაში იქნეს დანერგილი და გატარებული. სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ, რომ ქალებმა, მამაკაცებთან თანასწორობის პრინციპით, ლეგალურად შეძლონ საკუთრებისა და სარგებლობის უფლებასთან დაკავშირებულ საკონტრაქტო ურთიერთობებში შესვლა; სახელმწიფოები უნდა მიისწრაფოდნენ იმისაკენ, რომ უზრუნველყონ იურიდიული მომსახურება თუ სხვა ტიპის მხარდაჭერა, რათა ქალებმა შეძლონ თავიანთი საკუთრებისა და სარგებლობის საკითხებთან დაკავშირებული ინტერესების დაცვა.

5.5 სახელმწიფოებმა უნდა განავითარონ და დანერგონ შესაბამისი პოლიტიკა, კანონები თუ პროცედურები ყველა დაინტერესებული მხარის ჩართულობით, რათა თავიდანვე

უზრუნველყოფილი იყოს როგორც კაცების, ისე ქალების მონაწილეობა ამ პროცესში. პოლიტიკა, კანონები და პროცედურები უნდა ითვალისწინებდეს რეალობაში განხორციელების შესაძლებლობას. მათში გათვალისწინებული უნდა იყოს გენდერულად მგრძობიარე მიდგომები, გასაგებად უნდა იყოს გადმოცემული შესაბამის ენებზე და ფართოდ უნდა გავრცელდეს.

5.6 სახელმწიფოებს პასუხისმგებლობის ტვირთი უნდა დაეკისროთ მთავრობების დონეზე, რათა უზრუნველყოფილი იყოს, რომ ადამიანებმა აღნიშნული მომსახურება მაქსიმალურად ეფექტიანად მიიღონ. სახელმწიფოებმა გასაგებად უნდა განმარტონ როლები და ვალდებულებები რომლებიც ეკისრებათ სხვადასხვა სტრუქტურებს მიწის, ტყისა და თევზის რესურსების განკარგვისას. სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ კოორდინაცია როგორც შესრულებაზე პასუხისმგებელი სტრუქტურებს, ისე ადგილობრივ ხელისუფლებებს, მკვიდრ მოსახლეობებსა და სხვა თემებს შორის, რომელთათვისაც საკუთრებისა და სარგებლობის ტრადიციული ფორმებია დამახასიათებელი.

5.7 სახელმწიფოებმა უნდა განსაზღვრონ და აცნობონ სამოქალაქო საზოგადოებას, კერძო სექტორსა და აკადემიურ სფეროს, თუ როგორ შეუძლიათ წვლილის შეტანა საჭიროების შემთხვევაში პოლიტიკის, საკანონმდებლო და ორგანიზაციული მექანიზმების ჩამოყალიბებასა და დანერგვაში.

5.8 სახელმწიფოებმა და სხვა ჩართულმა მხარეებმა მუდმივად უნდა მოახდინონ პოლიტიკის, საკანონმდებლო და ორგანიზაციული მექანიზმების გადახედვა და მონიტორინგი, რათა უზრუნველყოფილი იყოს მათი ეფექტიანობა. შესრულებაზე პასუხისმგებელმა და სასამართლო სტრუქტურებმა უნდა დაამყარონ კავშირი სამოქალაქო საზოგადოებასთან, მომხმარებელთა ინტერესების გამტარებელ ჯგუფებთან და ფართო საზოგადოებასთან, რათა მოხდეს მომსახურების გაუმჯობესება და გამჭვირვალე პროცესებისა და გადაწყვეტილებების მიღების მექანიზმების მეშვეობით, კორუფციის თავიდან არიდება. ინფორმაცია გატარებული ცვლილებებისა და აღნიშნული ცვლილებების შედეგების შესახებ უნდა იქნეს ცხადად და ფართოდ გავრცელებული სათანადო ენებზე.

5.9 სახელმწიფოებმა უნდა აღიარონ, რომ საკუთრებისა და სარგებლობის საკითხებთან დაკავშირებული პოლიტიკა და კანონები არსებობს და ფუნქციონირებს უფრო ფართო პოლიტიკურ, საკანონმდებლო, სოციალურ, კულტურულ, რელიგიურ, ეკონომიკურ და გარემოსდაცვით კონტექსტებში. როდესაც აღნიშნულ ფართო კონტექსტებში ცვლილება ხდება და შესაბამისად, საჭირო ხდება საკუთრებისა და სარგებლობის საკითხებთან დაკავშირებით რეფორმების გატარება, სახელმწიფოებმა უნდა გასწიონ ძალისხმევა, რათა შემოთავაზებულ რეფორმებთან დაკავშირებით ეროვნული კონსენსუსის მიღწევა მოხერხდეს.

6. მომსახურების გაწევა²

6.1 არსებული რესურსების გათვალისწინებით, სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ, რომ შესრულებაზე პასუხისმგებელ და სასამართლო სტრუქტურებს ჰქონდეთ შესაბამისი ადამიანური, ფიზიკური, ფინანსური და სხვა ტიპის შესაძლებლობები, რათა პოლიტიკები და კანონები დროულად, ეფექტიანად და გენდერული მგრძობიარე მიდგომის მეშვეობით განხორციელდეს. ორგანიზაციის ყველაზე დონეზე უნდა ხდებოდეს დასაქმებულების მუდმივი გადამზადება და მათი რეკრუტირება უნდა მოხდეს გენდერული და სოციალური თანასწორობის პრინციპისადმი სათანადო პატივისცემით.

6.2 სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ რომ საკუთრებისა და სარგებლობის საკითხებთან და მათ ადმინისტრირებასთან დაკავშირებული მომსახურება თანხმობაში მოდის ეროვნული და საერთაშორისო კანონმდებლობით ნაკისრ ვალდებულებებთან და სათანადოდ ასრულებს შესაბამისი რეგიონული და საერთაშორისო ინსტრუმენტებით გათვალისწინებულ ნებაყოფლობით შესასრულებელ ვალდებულებებს.

6.3 სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ დროული, ხელმისაწვდომი და არადისკრიმინაციული სერვისების არსებობა საკუთრებისა და სარგებლობის უფლებების დასაცავად, აღნიშნული უფლებებით სარგებლობის ხელშესაწყობად და დავების გადასაწყვეტად. სახელმწიფოებმა უნდა აღმოფხვრან არასაჭირო საკანონმდებლო და პროცედურული მოთხოვნები და უნდა ისწრაფოდნენ საკუთრებისა და სარგებლობის უფლებებთან დაკავშირებული ბარიერების გადალახვისაკენ. სახელმწიფოებმა შედამხედველობა უნდა გაუწიონ შესრულებაზე პასუხისმგებელი და სასამართლო სტრუქტურების მომსახურებას და საჭიროების შემთხვევაში, უნდა იზრუნონ მათ გაუმჯობესებაზე.

6.4 სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ, რომ შესრულებაზე პასუხისმგებელი და სასამართლო სტრუქტურები ემსახურებიან მთელ მოსახლეობას, აწვდიან მომსახურებას ყველას, მათ შორის, პერიფერიებში მაცხოვრებლებს. მომსახურება გაწეულ უნდა იქნეს დროულად და ეფექტიანად, ადგილობრივ კონტექსტზე მორგებული ტექნოლოგიების მეშვეობით, რათა მაღალი იყოს ეფექტურობა და ხელმისაწვდომობა. შიდა სახელმძღვანელო წესები უნდა დაინერგოს ისე, რომ მომსახურე პერსონალმა შეძლოს პოლიტიკისა და კანონების დანერგვა საიმედოდ და თანმიმდევრულად. პროცედურების გამარტივება უნდა მოხდეს ისე, რომ საფრთხე არ შეექმნას საკუთრებისა და სარგებლობის საკითხებს და სამართლიანობის ხარისხს. განმარტებითი მასალები ფართოდ უნდა გავრცელდეს სათანადო ენებზე და უნდა მოხდეს მომხმარებელთა ინფორმირება თავიანთი უფლებებისა და ვალდებულებების შესახებ.

6.5 სახელმწიფოებმა უნდა გაატარონ პოლიტიკა და დანერგონ კანონები, რათა საჭიროებიდან გამომდინარე, ხელი შეუწყონ საკუთრებისა და სარგებლობის უფლებებთან დაკავშირებულ სივრცითი თუ სხვა ტიპის ინფორმაციის ეფექტიან გამოყენებას სახელმწიფოსა და შესრულებაზე

² მე-6 ნაწილში გამოყენებული ფორმულირებები განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მე-17-დან 21-მდე ნაწილების კონტექსტში.

პასუხისმგებელი სტრუქტურების, მკვიდრი ხალხებისა და სხვა თემების, სამოქალაქო საზოგადოების, კერძო სექტორის, აკადემიური სფეროსა თუ ფართო საზოგადოების მიერ. უნდა მოხდეს ინფორმაციის საზიაროდ გამოყენების ეროვნული სტანდარტების შემუშავება, რომელმაც უნდა გაითვალისწინოს რეგიონული და საერთაშორისო სტანდარტები.

6.6 სახელმწიფოებმა და სხვა ჩართულმა მხარეებმა უნდა გაატარონ დამატებითი ზომები, რათა მხარი დაუჭირონ მოწყვლად და მარგინალიზებულ ჯგუფებს, რომლებსაც სხვა შემთხვევაში ხელი არ მიუწვდებათ ადმინისტრაციულ და იურიდიულ მომსახურებაზე. აღნიშნული ზომები უნდა ითვალისწინებდეს სამართლებრივ მხარდაჭერას, როგორცაა ხელმისაწვდომი იურიდიული დახმარება და შესაძლოა, მოიცავდეს საშუალო რგოლის იურისტებისა და მიწისმზომელების მომსახურებას, ანდა მობილურ მომსახურებას ტერიტორიულად დაშორებული თემებისა და მომთაბარე მკვიდრი ხალხებისათვის.

6.7 სახელმწიფოებმა უნდა წახალისონ შესრულებაზე პასუხისმგებელი და სასამართლო სტრუქტურები, რათა დანერგონ მომსახურებასა და ეთიკურ ქცევაზე დამყარებული კულტურა. აღნიშნული სტრუქტურები უნდა ცდილობდნენ რეგულარული უკუკავშირი მიღებას, მაგალითად გამოკითხვებისა და ფოკუს ჯგუფების მეშვეობით, რათა მოხდეს სტანდარტების აწევა, სერვისების მომსახურების გაუმჯობესება და მოლოდინებისა და ახალი საჭიროებების დაკმაყოფილება. მათ უნდა გამოაქვეყნონ ინფორმაცია თავისი საქმიანობის სტანდარტების შესახებ და მუდმივად უნდა აცნობონ საზოგადოებას შედეგების შესახებ. მომხმარებლებს კი უნდა ჰქონდეთ საჩივრების წარდგენის და განხილვის საშუალება, ან შესრულებაზე პასუხისმგებელ ორგანოში, მაგალითად, ადმინისტრაციული საჩივრების განხილვების გზით, ანდა გარე მექანიზმების მეშვეობით, როგორცაა საჩივრების განხილვის დამოუკიდებელი მექანიზმები ან ომბუდსმენი.

6.8 საკუთრებისა და სარგებლობის საკითხებთან დაკავშირებული მომსახურების გამწვავმა შესაბამისმა პროფესიულმა ასოციაციებმა უნდა შეიმუშაონ, გამოაქვეყნონ და მონიტორინგი უნდა გაუწიონ მაღალი დონის ეთიკური ქცევის დანერგვას. საჯარო თუ კერძო სექტორი უნდა ისწრაფოდეს შესაბამისი ეთიკური სტანდარტების განმტკიცებისკენ და მათი დარღვევის შემთხვევაში, უნდა დაექვემდებაროს შესაბამის დისციპლინურ სასჯელს; ხოლო სადაც ასეთი ასოციაციები არ არსებობს, სახელმწიფომ უნდა შექმნას მათი გაჩენისთვის ხელსაყრელი გარემო.

6.9 სახელმწიფო და არასახელმწიფო სტრუქტურები უნდა მიისწრაფოდნენ საკუთრებისა და სარგებლობის უფლებებთან მიმართებაში კორუფციისათვის ხელის შეშლისაკენ. ამისათვის, სახელმწიფოები განსაკუთრებით უნდა დაეყრდნონ კონსულტაციებსა და დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობას, კანონის უზენაესობას, გამჭვირვალობასა და ანგარიშვალდებულებას. სახელმწიფოებმა უნდა მიიღონ და გაატარონ ანტიკორუფციული ზომები, მათ შორის, შეკავებისა და გაწონასწორების მექანიზმების დანერგვა, ძალაუფლების თვითნებური გამოყენების შეზღუდვა, ინტერესთა კონფლიქტების აღმოფხვრა და ცხადი წესებისა და რეგულაციების დადგენა. სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ შესრულებაზე პასუხისმგებელი ორგანოების მიერ მიღებული გადაწყვეტილებების ადმინისტრაციულ და იურიდიულ დონეზე გადახედვის მექანიზმები. პერსონალი, რომელიც მუშაობს საკუთრებისა და სარგებლობის საკითხების ადმინისტრირებაზე, პასუხისმგებელი უნდა იყოს საკუთარ ქმედებებზე. მათ უნდა ჰქონდეთ

საკუთარი ვალდებულებების ეფექტიანად შესრულების შესაძლებლობა. ისინი დაცულნი უნდა იყვნენ მათ ვალდებულებებში სხვათა ჩარევისა და შურისძიებისაგან კორუფციული ქმედებების გამოვლენის შემთხვევაში.

ნაწილი 3

სამართლებრივი აღიარება და საკუთრებისა და სარგებლობის საკითხებთან დაკავშირებული უფლებებისა და ვალდებულებების მინიჭება

დოკუმენტის ეს ნაწილი შეეხება მიწის, ტყისა და თევზის რესურსების საკუთრებისა და სარგებლობის საკითხების მართვას მკვიდრი ხალხებისა და საკუთრებისა და სარგებლობის ტრადიციული თუ არაფორმალური სისტემების მქონე სხვა თემების საკუთრებისა და სარგებლობის უფლებების სამართლებრივ აღიარებასთან მიმართებაში; ასევე, საჯარო სექტორის საკუთრებაში არსებული ან მისი კონტროლის ქვეშ მოქცეული მიწის, ტყისა და თევზის რესურსების საკუთრებისა და სარგებლობის უფლებების თავდაპირველ განაწილებას.

7. გარანტიები

7.1 როდესაც სახელმწიფოები ახდენენ მიწის, ტყისა და თევზის რესურსების საკუთრებისა და სარგებლობის უფლებების აღიარებას ან მინიჭებას, ეროვნულ კანონმდებლობასთან შეთანხმებით, მათ უნდა შექმნან გარანტიები, რათა თავიდან აირიდონ სხვათა საკუთრებისა და სარგებლობის უფლებების დარღვევა ან უგულებელყოფა, მათ შორის, საკუთრებისა და სარგებლობის ისეთი ლეგიტიმური უფლებების, რომლებიც ამჟამად კანონით დაცული არ არის. აღნიშნულმა გარანტიებმა განსაკუთრებით უნდა დაიცვას ქალები და მოწყვლადი ადამიანები, რომლებიც ფლობენ საკუთრებისა და სარგებლობის მეორად უფლებებს, როგორცაა შეკრების უფლება.

7.2 სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ, რომ საკუთრებისა და სარგებლობის უფლებებისა და ვალდებულებების სამართლებრივ აღიარებასთან და მინიჭებასთან დაკავშირებული ყოველი ქმედება თანხვედრაში მოდიოდეს ეროვნული და საერთაშორისო კანონმდებლობით ნაკისრ ვალდებულებებთან და სათანადო პასუხისმგებლობით მოეკიდოს შესაბამისი რეგიონული და საერთაშორისო ინსტრუმენტებით გათვალისწინებულ ნებაყოფლობით შესასრულებელ ვალდებულებებს.

7.3 როდესაც სახელმწიფოები მიზნად ისახავენ, აღიარონ საკუთრებისა და სარგებლობის უფლებები და მოახდინონ მათი მინიჭება, პირველ რიგში, უნდა დადგინდეს უკვე არსებული

საკუთრებისა და სარგებლობის უფლებები და აღნიშნული უფლებებით აღჭურვილი სუბიექტები, მიუხედავად იმისა, აღნიშნული ინფორმაცია სადმე არის, თუ არა დაფიქსირებული. 3ბ.6 და 9.9 პარაგრაფების თანახმად, კონსულტაციების პროცესში ჩართულნი უნდა იყვნენ მკვიდრი ხალხები და საკუთრებისა და სარგებლობის ტრადიციული ფორმების მქონე სხვა თემები, წვრილი მესაკუთრეები და ყველა სხვა სუბიექტი, ვისზეც შესაძლოა გავლენა ჰქონდეს აღნიშნულ გადაწყვეტილებას. 4.9 პარაგრაფის თანახმად, სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ წვდომა მართლმსაჯულებაზე იმ ადამიანებისთვის, რომლებიც ფიქრობენ, რომ არ ხდება მათი საკუთრებისა და სარგებლობის უფლებების აღიარება.

7.4 სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ, რომ ქალებს და კაცებს თანაბრად შეეძლოთ საკუთრებისა და სარგებლობის ახლად აღიარებული უფლებებით სარგებლობა და უნდა მოახდინონ აღნიშნული უფლებების ფორმალური დაფიქსირება. სადაც ამის შესაძლებლობა არსებობს, ინდივიდების, ოჯახებისა თუ თემების საკუთრებისა და სარგებლობის უფლებების სამართლებრივი აღიარება და მინიჭება უნდა მოხდეს სისტემატურად და ეროვნულ პრიორიტეტების მიხედვით ეტაპობრივად უნდა მოიცვას სხვადასხვა გეოგრაფიული არეალი, რათა მოსახლეობის დარიბ და მოწყვლად ჯგუფებს სრულფასოვნად მიეცეთ შესაძლებლობა, რომ მიაღწიონ თავიანთი საკუთრებისა და სარგებლობის უფლებების სამართლებრივ აღიარებას. უზრუნველყოფილ უნდა იქნეს სამართლებრივი დახმარების გაწევა, განსაკუთრებით, დარიბი და მოწყვლადი ჯგუფებისათვის. როდესაც ხდება საკუთრებისა და სარგებლობის უფლებების თავდაპირველი ფორმალური რეგისტრაცია, მათ შორის, საკუთრებისა და სარგებლობის უფლებების სისტემატური აღრიცხვა, უნდა მოხდეს ადგილობრივ კონტექსტზე მორგებული მიდგომების გამოყენება, რათა გაიზარდოს აღნიშნული პროცესების გამჭვირვალობა.

7.5 სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ, რომ ადამიანებს, რომელთა საკუთრებისა და სარგებლობის უფლებების აღიარება ანდა მინიჭებაც ხდება, სრულად ჰქონდეთ ინფორმაცია როგორც თავიანთ უფლებებზე, ისე ვალდებულებებზე. საჭიროებისამებრ, სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ, რომ მხარდაჭერა აღმოუჩინონ ამ ადამიანებს, რათა მათ შეძლონ საკუთრებისა და სარგებლობის უფლებებით სარგებლობა და ვალდებულებების შესრულება.

7.6 როდესაც შეუძლებელია საკუთრებისა და სარგებლობის უფლებების სამართლებრივი აღიარება, სახელმწიფოებმა ხელი უნდა შეუშალონ იძულებითი გამოსახლების პროცესებს, რომლებიც თანხვედრაში არ მოდის ეროვნული და საერთაშორისო კანონმდებლობით ნაკისრ ვალდებულებებთან და თანხმობაში არ არის წინამდებარე სახელმძღვანელო მითითებების პრინციპებთან.

8. სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული მიწის, ტყისა და თევზის რესურსები

8.1 იქ, სადაც სახელმწიფოები ფლობენ ან აკონტროლებენ მიწის, ტყისა და თევზის რესურსებს, მათი გამოყენებისა და კონტროლის შესახებ გადაწყვეტილების მიღება უნდა მოხდეს უფრო ზოგადი სოციალური, ეკონომიკური და გარემოსდაცვითი კონტექსტის გათვალისწინებით. მათ

უნდა უზრუნველყონ, რომ მათ მიერ გატარებული ზომები თანხვედრაში იყოს ეროვნული და საერთაშორისო კანონმდებლობით ნაკისრ ვალდებულებებთან და სათანადო პასუხისმგებლობით მოეკიდონ რეგიონული და საერთაშორისო ინსტრუმენტებით გათვალისწინებულ ნებაყოფლობით შესასრულებელ ვალდებულებებს.

8.2 იქ, სადაც სახელმწიფოები ფლობენ ან აკონტროლებენ მიწის, ტყისა და თევზის რესურსებს, ინდივიდთა და თემთა საკუთრებისა და სარგებლობის ლეგიტიმური უფლებების, მათ შორის, სადაც აქტუალურია, საკუთრებისა და სარგებლობის ტრადიციული სისტემების აღიარება, პატივისცემა და დაცვა უნდა მოხდეს ეროვნული და საერთაშორისო კანონმდებლობით გათვალისწინებულ ვალდებულებებთან შესაბამისობაში და შესაბამისი რეგიონული და საერთაშორისო ინსტრუმენტებით გათვალისწინებული ნებაყოფლობით შესასრულებელი ვალდებულებებისადმი სათანადო პასუხისმგებლობით. ამ მხრივ, საკუთრებისა და სარგებლობის ლეგიტიმური უფლებების კატეგორიების განსაზღვრა უნდა მოხდეს ცხადად და უნდა გამოქვეყნდეს გამჭვირვალე პროცესის მეშვეობით, ეროვნულ კანონმდებლობასთან ჰარმონიაში.

8.3 იმის გათვალისწინებით, რომ არსებობს სახელმწიფო საკუთრებაში არსებული მიწის, ტყისა და თევზის რესურსები, რომლებიც კოლექტიურ მფლობელობაშია და რომელთა მართვაც კოლექტიურად ხდება (ზოგიერთ კონტექსტში მათ საჯარო სიკეთეებს უწოდებენ), სადაც საჭიროა, სახელმწიფოებმა უნდა აღიარონ და დაიცვან ამგვარი მიწის, ტყისა და თევზის რესურსები და მათთან დაკავშირებული კოლექტიური ფლობისა და მართვის სისტემები, მათ შორის, სახელმწიფოს მიერ მათი მინიჭების პროცესში.

8.4 სახელმწიფოები უნდა ესწრაფვოდნენ, რომ თავი მოუყარონ საკუთრებისა და სარგებლობის განახლებულ ინფორმაციას მათ მფლობელობასა და კონტროლის ქვეშ არსებული მიწის, ტყისა და თევზის რესურსებთან დაკავშირებით, ყველასათვის ხელმისაწვდომი რეესტრის შექმნისა და წარმოების მეშვეობით. ასეთ რეესტრში უნდა მოხდეს როგორც ადმინისტრირებაზე პასუხისმგებელი ყველა სტრუქტურის აღრიცხვა, ისე მკვიდრი მოსახლეობის, საკუთრებისა და სარგებლობის ტრადიციული სისტემების მქონე თემებისა და კერძო სექტორის საკუთრებისა და სარგებლობის ყოველი ლეგიტიმური უფლების დაფიქსირება. სადაც შესაძლებელია, სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ რომ სახელმწიფოს საკუთრებისა და სარგებლობის უფლებები მოექცეს მკვიდრი მოსახლეობის, საკუთრებისა და სარგებლობის ტრადიციული სისტემების მქონე თემებისა და კერძო სექტორის საკუთრებისა და სარგებლობის უფლებების სისტემაში ანდა მათი დაკავშირება მოხდეს საერთო მექანიზმის მეშვეობით.

8.5 სახელმწიფოებმა უნდა გადაწყვიტონ თავიანთ საკუთრებასა და კონტროლის ქვეშ არსებული მიწის, ტყისა და თევზის რესურსების რა ნაწილი გადაეცემა სარგებლობაში საჯარო სექტორს, მათი რა ნაწილი გადაეცემა სხვა მომხმარებლებს და რა პირობებით.

8.6 სახელმწიფოებმა უნდა შეიმუშაონ და გამოაქვეყნონ საჯარო სექტორის სარგებლობაში არსებული მიწის, ტყისა და თევზის რესურსების მართვისა და კონტროლის პოლიტიკა და უნდა განავითარონ პოლიტიკა, რომელიც ხელს შეუწყობს სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული მიწის, ტყისა და თევზის რესურსებიდან მიღებული სარგებლის თანასწორ განაწილებას. აღნიშნულმა პოლიტიკებმა უნდა გაითვალისწინოს სხვათა საკუთრებისა და სარგებლობის

უფლებები და ყველა, ვისზეც შესაძლოა გავლენა ჰქონდეს, ჩართული უნდა იყოს კონსულტაციების პროცესში წინამდებარე სახელმძღვანელო მითითებების კონსულტაციებისა და მონაწილეობის პრინციპების შესაბამისად. აღნიშნული რესურსების ადმინისტრირება და მათთან დაკავშირებული გარიგებები უნდა განხორციელდეს არსებული სახელმწიფო პოლიტიკის რეალიზაციის ფარგლებში, ეფექტიანობის, გამჭვირვალებისა და ანგარიშვალდებულების პრინციპების გათვალისწინებით.

8.7 სახელმწიფოებმა უნდა შეიმუშაონ და გამოაქვეყნონ სხვებისათვის საკუთრებისა და სარგებლობის უფლებების მინიჭების და, საჭიროების შემთხვევაში, საკუთრებისა და სარგებლობის საკითხების მართვის ვალდებულებების დელეგირების პოლიტიკა. საკუთრებისა და სარგებლობის უფლებების მინიჭების პოლიტიკები თანხმობაში უნდა მოდიოდეს უფრო ზოგად სოციალურ, ეკონომიკურ და გარემოსდაცვით მიზნებთან. საკუთრებისა და სარგებლობის უფლებების ხელახალი მინიჭების პროცესში სათანადო ყურადღება უნდა დაეთმოს ადგილობრივ თემებს, რომლებიც ტრადიციულად იყენებდნენ მიწის, ტყისა და თევზის რესურსებს. პოლიტიკებმა უნდა გაითვალისწინოს სხვათა საკუთრებისა და სარგებლობის უფლებები და ყველა, ვისზეც შესაძლოა გავლენა იქონიოს, ჩართული უნდა იქნეს კონსულტაციების, მონაწილეობისა და გადაწყვეტილების მიღების პროცესში. აღნიშნულმა პოლიტიკებმა უნდა შექმნას გარანტიები, რომ საკუთრებისა და სარგებლობის უფლებების მინიჭება არ შეუქმნის საფრთხეს ადამიანების კეთილდღეობას, ზემოხსენებულ რესურსებზე მათი კანონიერი წვდომისათვის ხელის შეშლით.

8.8 სახელმწიფოებს შეუძლიათ რომ უფლებათა მინიჭება სხვადასხვა ფორმით მოახდინონ, შეზღუდული სარგებლობიდან დაწყებული სრული ფლობით დამთავრებული. პოლიტიკებმა უნდა სცნონ საკუთრებისა და სარგებლობის უფლებებისა და აღნიშნული უფლებების მფლობელი სუბიექტების მრავალფეროვნება. პოლიტიკებმა უნდა დააკონკრეტოს უფლებათა მინიჭების მექანიზმები, მაგალითად უფლებათა მინიჭება რესურსების ისტორიულად მოხმარების საფუძველზე ან სხვა მექანიზმებით. საჭიროების შემთხვევაში, შესაძლოა მხარდაჭერა აღმოეჩინოს მას, ვისზეც მოხდა საკუთრებისა და სარგებლობის უფლებების მინიჭება, რათა მან შეძლოს თავისი უფლებებით სარგებლობა. სახელმწიფოებმა უნდა განსაზღვრონ, ინარჩუნებენ თუ არა რაიმე ფორმის კონტროლს მიწის, ტყისა და თევზის რესურსებზე, რომელთა მინიჭებაც მოხდა.

8.9 სახელმწიფოებმა უნდა მოახდინონ საკუთრებისა და სარგებლობის უფლებების მინიჭება და საკუთრებისა და სარგებლობის საკითხების მართვის დელეგირება გამჭვირვალედ, საყოველთაო ჩართულობის მეშვეობით, ყველასათვის, განსაკუთრებით მკვიდრი ხალხებისა და საკუთრებისა და სარგებლობის ტრადიციული სისტემების მქონე თემებისათვის ცხადი, ხელმისაწვდომი და გასაგები მარტივი პროცედურების მეშვეობით. ინფორმაცია შესაბამის ენებზე უნდა მიეწოდოს პროცესის ყველა სავარაუდო მონაწილეს, მათ შორის, გენდერულად მგრძობიარე შეტყობინებების მეშვეობით. სადაც შესაძლებელია, სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ, რომ ახლად მინიჭებული საკუთრებისა და სარგებლობის უფლებების დაფიქსირება მოხდეს საკუთრებისა და სარგებლობის სხვა უფლებებთან ერთად, ერთსა და იმავე სისტემაში, ანდა ისინი დაკავშირებული იქნენ საერთო მექანიზმის მეშვეობით.

სახელმწიფო და არასახელმწიფო სტრუქტურები უნდა ესწრაფოდნენ საკუთრებისა და სარგებლობის უფლებების მინიჭების პროცესში კორუფციის თავიდან არიდებისაკენ.

8.10 არსებული რესურსების გათვალისწინებით, სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ, რომ მიწის, ტყისა და თევზის რესურსებზე პასუხისმგებელ კომპეტენტურ ორგანოებს სათანადო ადამიანური, ფიზიკური, ფინანსური თუ სხვა სახის შესაძლებლობები აქვთ. როდესაც საკუთრებისა და სარგებლობის საკითხების მართვის ვალდებულებები დელეგირებულია, პირებს, რომლებზეც ხდება დელეგირება, უნდა ჩაუტარდეთ ტრენინგები და უნდა გაეწიოთ სხვა სახის მხარდაჭერა, რათა აღნიშნული ვალდებულებების შესრულება შეძლონ.

8.11 სახელმწიფოებმა ზედამხედველობა უნდა გაუწიონ უფლებათა მინიჭების პროგრამების შედეგებს, მათ შორის, გენდერულად დიფერენცირებულ გავლენებს საკვების უსაფრთხოებასა და სიღარიბის აღმოფხვრაზე, ისევე, როგორც მათ გავლენას სოციალურ, ეკონომიკურ და გარემოსდაცვით საკითხებზე და საჭიროების შემთხვევაში, უნდა შეიტანონ შესწორებები.

9. მკვიდრი ხალხები და საკუთრებისა და სარგებლობის ტრადიციული სისტემების მქონე სხვა თემები

9.1 სახელმწიფო და არასახელმწიფო სტრუქტურებმა უნდა აღიარონ, რომ მიწის, ტყისა და თევზის რესურსებს სოციალური, კულტურული, სულიერი, ეკონომიკური, გარემოსდაცვითი და პოლიტიკური ღირებულება გააჩნია მკვიდრი ხალხებისა და საკუთრებისა და სარგებლობის ტრადიციული სისტემების მქონე სხვა თემებს.

9.2 მკვიდრმა ხალხებმა და საკუთრებისა და სარგებლობის ტრადიციული სისტემების მქონე სხვა თემებმა, რომლებიც მიწის, ტყისა და თევზის რესურსების თვითმმართველობით სარგებლობენ, ხელი უნდა შეუწყონ და უზრუნველყონ აღნიშნულ რესურსებზე წვდომის თანასწორუფლებიანი, უსაფრთხო და მდგრადი უფლებები, განსაკუთრებული აქცენტით ქალთა თანასწორუფლებიან წვდომაზე. საზოგადოების თითოეული წევრის, კაცების, ქალებისა და ახალგაზრდების ეფექტიან მონაწილეობას საკუთრებისა და სარგებლობის სისტემებთან დაკავშირებულ გადაწყვეტილებებში მხარს უნდა უჭერდნენ ადგილობრივი და ტრადიციული ინსტიტუციები, მათ შორის, საკუთრებისა და სარგებლობის კოლექტიური სისტემების შემთხვევაში. საჭიროების შემთხვევაში, თემებს დახმარება უნდა გაეწიოთ იმისათვის, რომ მათ წარმომადგენლებმა აიმაღლონ უნარები გადაწყვეტილებების მიღებაში მონაწილეობისა და საკუთრებისა და სარგებლობის მათი სისტემების მართვაში.

9.3 სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ, რომ მათი ყოველი ქმედება თანხმობაში მოდიოდეს ეროვნული და საერთაშორისო კანონმდებლობით ნაკისრ ვალდებულებებთან და სათანადო პასუხისმგებლობით ეკიდებოდეს შესაბამისი რეგიონული და საერთაშორისო ინსტრუმენტებით გათვალისწინებულ, ნებაყოფლობით შესასრულებელ ვალდებულებებს. მკვიდრი ხალხების შემთხვევაში, სახელმწიფოებმა უნდა შეასრულონ შესაბამისი ვალდებულებები და ნებაყოფლობით შესასრულებელი ვალდებულებები, რათა დაიცვან ადამიანის უფლებები, ხელი შეუწყონ მას და მოახდინონ მისი რეალიზება, მათ შორის, „დამოუკიდებელ ქვეყნებში მკვიდრი

და ტომებად მცხოვრები ხალხების შესახებ“ შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის (#169) კონვენციის, „ბიოლოგიური მრავალფეროვნების შესახებ“ კონვენციის და „მკვიდრი ხალხების უფლებების შესახებ“ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის დეკლარაციის შესაფერისი ვალდებულებები.

9.4 სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ მკვიდრი ხალხებისა და საკუთრებისა და სარგებლობის ტრადიციული სისტემების მქონე სხვა თემების საკუთრებისა და სარგებლობის ლეგიტიმური უფლებების აღიარება და დაცვა, ეროვნული და საერთაშორისო კანონმდებლობით ნაკისრი ვალდებულებების შესაბამისად და სათანადო პასუხისმგებლობით შესაბამისი რეგიონული და საერთაშორისო ინსტრუმენტებით გათვალისწინებული ნებაყოფლობით შესასრულებელი ვალდებულებებისადმი. ამ ტიპის აღიარებამ უნდა მოიცვას მიწის, ტყისა და თევზის ის რესურსები, რომლებსაც მხოლოდ და მხოლოდ ესა თუ ის თემი იყენებს და ის რესურსებიც, რომლებიც საზიაროა და პატივი უნდა სცეს პასუხისმგებლიანი მართვის ზოგად პრინციპებს. ინფორმაცია ამგვარი აღიარების/ცნობის შესახებ უნდა გამოქვეყნდეს ხელმისაწვდომ ადგილზე, სათანადო გასაგები ფორმით და შესაბამის ენებზე.

9.5 როდესაც მკვიდრ ხალხებსა და საკუთრებისა და სარგებლობის ტრადიციული სისტემების მქონე თემებს გააჩნიათ საკუთრებისა და სარგებლობის ლეგიტიმური უფლებები წინაპრების მიწებზე, რომელზეც ისინი ცხოვრობენ, სახელმწიფომ უნდა აღიაროს და დაიცვას აღნიშნული უფლებები. ასეთი, წინაპართა მიწებიდან არ უნდა მოხდეს მკვიდრი ხალხებისა და საკუთრებისა და სარგებლობის ტრადიციული სისტემების მქონე სხვა თემების იძულებითი გამოსახლება.

9.6 სახელმწიფოებმა უნდა განიხილონ თავიანთი პოლიტიკური, სამართლებრივი და ორგანიზაციული მექანიზმების ადაპტირება, რათა მოხდეს მკვიდრი ხალხებისა და საკუთრებისა და სარგებლობის ტრადიციული სისტემების მქონე სხვა თემების საკუთრებისა და სარგებლობის სისტემების აღიარება. როდესაც საკონსტიტუციო თუ სამართლებრივი რეფორმები განამტკიცებენ ქალთა უფლებებს და ამით მათ კონფლიქტურ სიტუაციაში აყენებს ტრადიციებთან მიმართებაში, ყველა ჩართულმა მხარემ უნდა ითანამშრომლოს რათა მოხდეს საკუთრებისა და სარგებლობის ტრადიციულ სისტემებში ამგვარი ცვლილებების შეტანა.

9.7 საკუთრებისა და სარგებლობის საკითხებთან დაკავშირებული პოლიტიკისა და კანონების შემუშავებისას, სახელმწიფოებმა უნდა გაითვალისწინონ სოციალური, კულტურული, სულიერი, ეკონომიკური და გარემოსდაცვითი ღირებულებები, რომლებსაც მიწის, ტყისა და თევზის რესურსები ატარებენ მკვიდრი ხალხებისა და საკუთრებისა და სარგებლობის ტრადიციული სისტემების მქონე სხვა თემების საკუთრებისა და სარგებლობის სისტემებში. უზრუნველყოფილ უნდა იქნეს გავლენის ქვეშ მოქცეული თემების თითოეული წევრისა თუ მათი წარმომადგენლების, მათ შორის, მოწყვლადი და მარგინალიზებული ადამიანების უფექტიანი მონაწილეობა, როდესაც ხდება მკვიდრი ხალხებისა და საკუთრებისა და სარგებლობის ტრადიციული სისტემების მქონე სხვა თემების საკუთრებისა და სარგებლობის სისტემებთან დაკავშირებული პოლიტიკისა და კანონების შემუშავება.

9.8 სახელმწიფოებმა უნდა დაიცვან მკვიდრი ხალხები და საკუთრებისა და სარგებლობის ტრადიციული სისტემების მქონე სხვა თემები მათ საკუთრებაში არსებული მიწის, ტყისა და თევზის რესურსების სხვების მიერ უნებართვო გამოყენებისგან. იქ, სადაც ადგილობრივი თემი

არაა წინააღმდეგი, სახელმწიფოებს შეუძლიათ, დახმარება აღმოუჩინონ თემის სარგებლობასა და კონტროლის ქვეშ მოქცეული მიწის, ტყისა და თევზის რესურსების ხასიათისა და ადგილმდებარეობის შესახებ ინფორმაციის ფორმალურ დოკუმენტირებასა და გამოქვეყნებაში. ხოლო იქ, სადაც მკვიდრი ხალხებისა და საკუთრებისა და სარგებლობის ტრადიციული სისტემების მქონე სხვა თემების საკუთრებისა და სარგებლობის უფლებები ფორმალურად დოკუმენტირებულია, მათი დაფიქსირება უნდა მოხდეს სხვა საჯარო, კერძო თუ კომუნალური საკუთრებისა და სარგებლობის უფლებებთან ერთად, რათა თავიდან იქნეს არიდებული ურთიერთდაპირისპირებული პრეტენზიები.

9.9 სახელმწიფოებმა თუ სხვა ჩართულმა მხარეებმა უნდა გაიარონ კეთილსინდისიერი კონსულტაციები მკვიდრ მოსახლეობასთან ვიდრე რაიმე პროექტის ინიციატივას წამოაყენებენ ანდა მიიღებენ და განახორციელებენ საკანონმდებლო თუ ადმინისტრაციულ ზომებს, რომლებიც ზეგავლენას მოახდენს რესურსებზე, რომლებზეც თემს გააჩნია უფლება. ასეთი პროექტები უნდა დაეფუძნოს მკვიდრ ხალხებთან ეფექტიან და არსობრივ კონსულტაციებს, მათი წარმომადგენელი ინსტიტუციების მეშვეობით, რათა მოხდეს მათი მხრიდან თავისუფალი, დროული და ინფორმირებული თანხმობის მოპოვება გაეროს მკვიდრი ხალხების უფლებების დეკლარაციასთან თანხმობაში და ცალკეული სახელმწიფოების კონკრეტული პოზიციებისა და შეხედულებების სათანადოდ გათვალისწინებით. კონსულტაციები და გადაწყვეტილებების მიღების პროცესის ორგანიზება უნდა მოხდეს ყოველგვარი დამინების გარეშე და უნდა წარიმართოს სანდო გარემოში. კონსულტაციებისა და მონაწილეობის პრინციპები, როგორც 3ბ.6 პარაგრაფშია გაწერილი, მიემართებათ ისეთ სხვა თემებს, რომლებზეც საუბარი არ არის აქ.

9.10 სახელმწიფო და არასახელმწიფო სტრუქტურები უნდა მიისწრაფოდნენ, რომ საჭიროების შემთხვევაში, ზეგავლენის ქვეშ მოქცეული თემების წარმომადგენელ ინსტიტუტებთან ერთად და ზეგავლენის ქვეშ მოქცეულ თემებთან თანამშრომლობით, ტექნიკური და სამართლებრივი მხარდაჭერა გაუწიონ ზეგავლენის ქვეშ მოქცეულ თემებს, რათა მონაწილეობა მიიღონ საკუთრებისა და სარგებლობის საკითხებთან დაკავშირებული პოლიტიკის, კანონებისა და პროექტების განვითარებაში დისკრიმინაციის გარეშე და გენდერულად მგრძობიარე საკითხების გათვალისწინებით.

9.11 სახელმწიფოებმა პატივი უნდა სცენ და მხარი უნდა დაუჭირონ ტრადიციულ მიდგომებს, რომლებსაც იყენებენ მკვიდრი ხალხები და საკუთრებისა და სარგებლობის ტრადიციული სისტემების მქონე სხვა თემები, რათა გადაჭრან თემის შიგნით მიმდინარე საკუთრებისა და სარგებლობის საკითხებთან დაკავშირებული კონფლიქტები, ეროვნული და საერთაშორისო კანონმდებლობით ნაკისრი ვალდებულებებთან თანხმობაში და შესაბამისი რეგიონული და საერთაშორისო ინსტრუმენტებით გათვალისწინებული ნებაყოფლობით შესასრულებელი ვალდებულებებისადმი სათანადო პასუხისმგებლობით. მიწის, ტყისა და თევზის ისეთი რესურსების შემთხვევაში, რომელსაც ერთზე მეტი თემი იყენებს, უნდა მოხდეს თემებს შორის კონფლიქტის მოგვარების მექანიზმების გაძლიერება და განვითარება.

9.12 სახელმწიფო და არასახელმწიფო სტრუქტურები უნდა ისწრაფოდნენ რომ ხელი შეუშალონ მკვიდრი ხალხებისა და საკუთრებისა და სარგებლობის ტრადიციული სისტემების მქონე სხვა თემების საკუთრებისა და სარგებლობის სისტემებთან დაკავშირებულ კორუფციას, კონსულტაციებითა და მონაწილეობით, და თემთა გაძლიერების გზით.

10. არაფორმალური საკუთრება და სარგებლობა

10.1 იქ, სადაც არსებობს მიწის, ტყისა და თევზის რესურსების არაფორმალური საკუთრებისა და სარგებლობის პრაქტიკა, სახელმწიფოებმა უნდა სცნონ იგი ისე, რომ პატივი სცენ ეროვნული კანონმდებლობით გათვალისწინებულ ფორმალურ უფლებებს და ამასთან, მოხდეს რეალური სიტუაციის აღიარება და სოციალური, ეკონომიკური და გარემოსდაცვითი კეთილდღეობის ხელშეწყობა. სახელმწიფოებმა ხელი უნდა შეუწყონ ისეთ პოლიტიკასა და კანონებს, რომლებიც ახდენენ ამგვარი არაფორმალური საკუთრებისა და სარგებლობის აღიარებას. ასეთი პოლიტიკებისა და კანონების შექმნის პროცესი უნდა იყოს ჩართულობაზე ორიენტირებული, გენდერულად მგრძობიარე და უნდა ისწრაფოდეს ზეგავლენის ქვეშ მოქცეული ინდივიდებისა და თემების ტექნიკური და სამართლებრივი მხარდაჭერის უზრუნველყოფისკენ. კერძოდ, სახელმწიფოებმა უნდა აღიარონ არაფორმალური საკუთრებისა და სარგებლობის პრაქტიკების არსებობა, რომლებიც მასშტაბური მიგრაციების შედეგად წარმოიშობა.

10.2 სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ, რომ არაფორმალურ საკუთრებასა და სარგებლობასთან დაკავშირებული ყოველი მოქმედება თანხმობაშია ეროვნული და საერთაშორისო კანონმდებლობით ნაკისრ ვალდებულებებთან და სათანადო პასუხისმგებლობით ეკიდება შესაბამისი რეგიონული და საერთაშორისო ინსტრუმენტებით გათვალისწინებულ ნებაყოფლობით შესასრულებელ ვალდებულებებს, მათ შორის, საჭიროების შემთხვევაში, სათანადო საცხოვრისის უფლებას.

10.3 სახელმწიფოების მხრიდან არაფორმალური საკუთრებისა და სარგებლობის სამართლებრივი აღიარება უნდა მოხდეს ჩართულობაზე ორიენტირებული, გენდერულად მგრძობიარე პროცესების მეშვეობით და განსაკუთრებული ყურადღებითა და პატივისცემით საკუთრებისა და სარგებლობის სუბიექტების მიმართ. აღნიშნულ პროცესში სახელმწიფოებმა განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაუთმონ ფერმერებსა და საკვები პროდუქტების მწარმოებელ მცირე მეწარმეებს. აღნიშნულმა პროცესებმა ხელი უნდა შეუწყონ ლეგალიზების მომსახურებაზე ხელმისაწვდომობას და ფასების შემცირებას. სახელმწიფოები უნდა მიისწრაფოდნენ თემებისთვის და პროცესში ჩართულებისთვის ტექნიკური და სამართლებრივი მხარდაჭერისაკენ.

10.4 სახელმწიფოებმა უნდა გაატარონ ყველა სათანადო ზომა, რათა შეზღუდონ არაფორმალური საკუთრებისა და სარგებლობის პრაქტიკები, რომლებიც მიწის დანიშნულების ცვლილებისთვის და სამშენებლო საქმიანობის წარმოებისთვის დაწესებული ზედმეტად რთული სამართლებრივი და ადმინისტრაციული მოთხოვნების შედეგად წარმოიქმნა. სამშენებლო საქმიანობისთვის დაწესებული მოთხოვნები და პროცესები უნდა იყოს ცხადი, მარტივი და ფინანსურად ხელმისაწვდომი, რათა მათი შესრულება იოლი იყოს.

10.5 სახელმწიფოები უნდა ცდილობდნენ, რომ ხელი შეუშალონ კორუფციას, კერძოდ, გამჭვირვალების ხარისხის გაზრდით, გადაწყვეტილებების მიმღებ პირთა მიერ

პასუხისმგებლობის საკუთარ თავზე აღებით და მიუკერძოებელი გადაწყვეტილებების დროულად მიღებით.

10.6 როდესაც შეუძლებელია არაფორმალური საკუთრებისა და სარგებლობის პრაქტიკების სამართლებრივი აღიარება, სახელმწიფოებმა ხელი უნდა შეუშალონ იძულებით გამოსახლებას, რომლებიც წინააღმდეგობაში მოდის ეროვნული და საერთაშორისო კანონმდებლობით ნაკისრ ვალდებულებებთან და თანხმობაშია მე-16 ნაწილით გათვალისწინებულ დათქმებთან.

ნაწილი 4

საკუთრებისა და სარგებლობის უფლებებისა და ვალდებულებების გადაცემა და სხვა სახის ცვლილებები

სახელმძღვანელო მითითებების ეს ნაწილი ეხება მიწის, ტყისა და თევზის რესურსების საკუთრებისა და სარგებლობის საკითხების მართვას, როდესაც არსებული უფლებებისა და მასთან ასოცირებული ვალდებულებების გადაცემა ან ხელახლა მინიჭება ხდება ნებაყოფლობით და იძულებით, ბაზრების, ინვესტიციების შედეგად საკუთრებისა და სარგებლობის უფლებებთან დაკავშირებული ოპერაციების, მიწის ნაკვეთების გამსხვილებისა და სხვა მარეგულირებელი მიდგომების, რესტიტუციის, გადანაწილების რეფორმებისა თუ ექსპროპრიაციის მეშვეობით.

11. ბაზრები

11.1 საჭიროების შემთხვევაში, სახელმწიფომ უნდა სცნოს და ხელი უნდა შეუწყოს გაყიდვებისა და იჯარის სამართლიან და გამჭვირვალე ბაზრებს როგორც მიწის, ტყისა და თევზის რესურსების ფლობისა და სარგებლობის უფლებების გადაცემის მექანიზმს. საკუთრებისა და სარგებლობის უფლებებთან დაკავშირებული ბაზრების მუშაობის შემთხვევაში, სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ, რომ მათი ქმედებები თანხვედრაშია ეროვნული და საერთაშორისო კანონმდებლობით ნაკისრ ვალდებულებებთან და სათანადო პასუხისმგებლობით უდგება შესაბამისი რეგიონული და საერთაშორისო ინსტრუმენტებით გათვალისწინებულ ნებაყოფლობით შესასრულებელ ვალდებულებებს. საკუთრებისა და სარგებლობის უფლებებთან დაკავშირებული ოპერაციები თანხმობაში უნდა იყოს მიწით სარგებლობასთან დაკავშირებულ ეროვნულ ნორმატიულ აქტებთან და საფრთხეს არ უნდა უქმნიდეს განვითარების ფუნდამენტური მიზნების მიღწევას.

11.2 სახელმწიფოებმა ხელი უნდა შეუწყონ ეფექტიან და გამჭვირვალე ბაზრების ფუნქციონირებას, რათა წაახალისონ მხარეთა თანასწორი პირობებითა და შესაძლებლობებით ჩართულობა საკუთრებისა და სარგებლობის უფლებების ორმხრივ სასარგებლო გადაცემისათვის, რაც ამცირებს კონფლიქტებსა და არასტაბილურობას; უნდა წაახალისონ მიწის, ტყისა და თევზის რესურსების მდგრადი გამოყენება და გარემოს კონსერვაცია; უნდა წაახალისონ შესაბამისი ხელშეკრულებებით გათვალისწინებული მიწის, ტყისა და თევზის რესურსებთან დაკავშირებული გენეტიკური რესურსებით სამართლიანი და თანაბარუფლებიანი

სარგებლობა; უნდა გაზარდონ ეკონომიკური შესაძლებლობები და დარიბი მოსახლეობის ჩართულობა. სახელმწიფოებმა უნდა გაატარონ ზომები ადგილობრივ თემებზე, მკვიდრ ხალხებსა და მოწყვლად ჯგუფებზე არასასურველი გავლენების თავიდან ასაცილებლად, რაც შესაძლოა გამოწვეული იყოს, მათ შორის, მიწასთან დაკავშირებული სპეკულაციებით, მიწის კონცენტრაციითა და საკუთრებისა და სარგებლობის ტრადიციული ფორმების შეზღუდვით. სახელმწიფომ, ისევე როგორც სხვა მხარეებმა, უნდა აღიარონ, რომ ღირებულებები, მაგალითად, სოციალური, კულტურული და გარემოსდაცვითი ღირებულებები დაურეგულირებელი ბაზრების პირობებში ყოველთვის დაცული არ არის. სახელმწიფოებმა უნდა დაიცვან საზოგადოების ფართო ინტერესები საკუთრებისა და სარგებლობის საკითხებთან დაკავშირებული სათანადო პოლიტიკის გატარებითა და კანონმდებლობის შემოღებით.

11.3 სახელმწიფოებმა უნდა დანერგონ ისეთი პოლიტიკა და კანონები და შექმნან ისეთი მარეგულირებელი სისტემები თუ სტრუქტურები, რომელიც უზრუნველყოფს გამჭვირვალე, ეფექტიან საბაზრო ოპერაციებს და არადისკრიმინაციულ ხელმისაწვდომობას და ხელს შეუშლის არაკონკურენტულ პრაქტიკებს. სახელმწიფოებმა უნდა გაამარტივონ ადმინისტრაციული პროცედურები, რათა ისე არ მოხდეს, რომ მოსახლეობის დარიბმა და ყველაზე უფრო მოწყვლადმა ნაწილმა თავი შეიკავოს ბაზარის მუშაობაში მონაწილეობისაგან.

11.4 სახელმწიფოებმა და სხვა მხარეებმა უნდა უზრუნველყონ, რომ ბაზარზე მიმდინარე ოპერაციებისა და საბაზრო ღირებულებების შესახებ ინფორმაცია გამჭვირვალე და ფართოდ ხელმისაწვდომია, კონფიდენციალურობის სრული დაცვით. სახელმწიფოებმა ზედამხედველობა უნდა გაუწიონ აღნიშნულ ინფორმაციას და უნდა გაატარონ ზომები, თუ ბაზრებს უარყოფითი გავლენა აქვს ანდა ხელი ეშლის ფართოდ და თანასწორობის პრინციპზე დამყარებულ მონაწილეობას ბაზარზე.

11.5 სახელმწიფოებმა უნდა შექმნან ადეკვატური და სანდო სარეგისტრაციო სისტემები, მაგალითად, მიწების რეესტრი, რომელიც იძლევა ხელმისაწვდომ ინფორმაციას საკუთრებისა და სარგებლობის უფლებებისა და ვალდებულებების შესახებ, რათა გაიზარდოს საკუთრებისა და სარგებლობის საკითხების უსაფრთხოება და შემცირდეს ოპერაციათა ღირებულება და მათთან დაკავშირებული რისკები.

11.6 სახელმწიფოებმა უნდა შექმნან საკუთრებისა და სარგებლობის ლეგიტიმური უფლებების დაცვის გარანტიები მეუღლეებისათვის, ოჯახის წევრებისათვის და ა.შ. რომლებიც რეგისტრაციის სისტემებში, მაგალითად მიწების რეესტრში არ ფიქსირდებიან როგორც საკუთრებისა და სარგებლობის უფლებების მფლობელები.

11.7 სახელმწიფო და არასახელმწიფო სტრუქტურებმა უნდა დაიცვან შესაბამისი ეთიკური ნორმები. მათ საჯარო უნდა გახადონ ინფორმაცია აღნიშნული ნორმების შესახებ და ზედამხედველობა გაუწიონ მათ დაცვას საბაზრო ოპერაციებში, რათა ხელი შეუშალოს კორუფციას, კერძოდ, საჯარო მხილების გზით.

11.8 ეროვნული სასურსათო უსაფრთხოებისა და სოციალური სტაბილურობის საკითხებში საკვების მწარმოებელ მცირე მეწარმეთა განსაკუთრებული მნიშვნელობის გათვალისწინებით, როდესაც ხდება საკუთრებისა და სარგებლობის საკითხებთან დაკავშირებული საბაზრო

ოპერაციებისათვის ხელის შეწყობა, სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ საკვების მწარმოებელ მცირე მეწარმეთა საკუთრებისა და სარგებლობის უფლებების დაცვა.

12. ინვესტიციები

12.1 სახელმწიფო და არასახელმწიფო სტრუქტურებმა უნდა აღიარონ, რომ გონივრულ სახელმწიფო და კერძო ინვესტიციებს გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს სასურსათო უსაფრთხოების გაუმჯობესების საკითხში. მიწის, ტყისა და თევზის რესურსების საკუთრებისა და სარგებლობის საკითხების გონივრული მართვა საკუთრებისა და სარგებლობის უფლების მატარებელ სუბიექტებს უბიძგებს, რომ განახორციელონ გონივრული ინვესტიციები აღნიშნულ რესურსებში, გაზარდონ სოფლის მეურნეობის მდგრადი წარმოება და მიიღონ გაზრდილი შემოსავალი. სახელმწიფოებმა მხარი უნდა დაუჭირონ და ხელი უნდა შეუწყონ მიწის, ტყისა და თევზის რესურსებში გონივრული ინვესტიციების განხორციელებას, რომელიც მხარს უჭერს უფრო ფართო სოციალურ, ეკონომიკურ და გარემოსდაცვით საკითხებს, სხვადასხვა ტიპის ფერმერული სისტემების პირობებში. სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ, რომ მათი თითოეული ქმედება თანხმობაში მოდის ეროვნული და საერთაშორისო კანონმდებლობით ნაკისრ ვალდებულებებთან და სათანადო პასუხისმგებლობით ეკიდება შესაბამისი რეგიონული და საერთაშორისო ინსტრუმენტებით გათვალისწინებულ, ნებაყოფლობით შესასრულებელ ვალდებულებებს.

12.2 იმის გათვალისწინებით, რომ განვითარებად ქვეყნებში მცირე მეწარმეები და მათი ორგანიზაციები სოფლის მეურნეობაში ინვესტიციების მნიშვნელოვან ნაწილს ახორციელებენ, რასაც განსაკუთრებული წვლილი შეაქვს სასურსათო უსაფრთხოებაში, საკვებით უზრუნველყოფაში, სიღარიბის აღმოფხვრასა და გარემოსდაცვითი მდგრადობის განმტკიცებაში, სახელმწიფოებმა მხარი უნდა დაუჭირონ მცირე მეწარმეთა მიერ განხორციელებულ ინვესტიციებს, ისევე როგორც მცირე მეწარმეებისადმი მგრძობიარე სახელმწიფო და კერძო ინვესტიციებს.

12.3 საკუთრებისა და სარგებლობის უფლებებთან დაკავშირებული ნებისმიერი გარიგება, რომელიც მოყვება მიწის, ტყისა და თევზის რესურსებში ინვესტირებას, უნდა წარიმართოს გამჭვირვალედ, შესაბამის სფეროსთან დაკავშირებული ეროვნული პოლიტიკის შესაბამისად და თანხმობაში უნდა მოდიოდეს მცირე მეწარმეებზე ფოკუსირებული სოციალური და ეკონომიკური ზრდისა და მდგრადი ჰუმანიტარული განვითარების მიზნებთან.

12.4 გონივრულმა ინვესტიციებმა არ უნდა გამოიწვიოს ზიანი, უნდა შექმნას გარანტიები საკუთრებისა და სარგებლობის ლეგიტიმური უფლებების მათი მფლობელებისათვის ჩამორთმევის და გარემოსთვის ზიანის მიყენებისაგან თავის დასაცავად და პატივი უნდა სცეს ადამიანის უფლებებს. აღნიშნული ინვესტიციები უნდა განხორციელდეს მთავრობის შესაბამისი სტრუქტურებისა და მიწის, ტყისა და თევზის რესურსების საკუთრებისა და სარგებლობის ლეგიტიმური უფლებების ადგილობრივ მფლობელებთან პარტნიორობით, მათი საკუთრებისა და სარგებლობის ლეგიტიმური უფლებების სრული პატივისცემით. ისინი უნდა ისწრაფოდნენ

რაც შეიძლება მეტი წვლილის შეტანისაკენ პოლიტიკით განსაზღვრული ისეთი მიზნების მიღწევაში, როგორცაა სიღარიბის აღმოფხვრა; სასურსათო უსაფრთხოება და მიწის, ტყისა და თევზის რესურსებით მდგრადი სარგებლობა; ადგილობრივი თემების მხარდაჭერა; წვლილის შეტანა სოფლების განვითარებაში; ადგილობრივი საკვების წარმოების სისტემების უზრუნველყოფა და მხარდაჭერა; მდგრადი სოციალური და ეკონომიკური განვითარების გაძლიერება; სამუშაო ადგილების შექმნა; საარსებო საშუალებების გამრავალფეროვნება; სარგებლის მოტანა ქვეყნისა და ხალხისათვის, მათ შორის, ღარიბი და ყველაზე უფრო მოწყვლადი მოსახლეობისათვის; და ეროვნული და საერთაშორისო კანონმდებლობით გათვალისწინებული უმთავრესი შრომის სტანდარტების დაცვა, ისევე, როგორც შესაბამის სიტუაციაში, შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის (ILO) დადგენილი სტანდარტებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულება.

12.5 სახელმწიფოებმა, სათანადო კონსულტაციებითა და ჩართულობით, უნდა უზრუნველყონ გამჭვირვალე წესების არსებობა საკუთრებისა და სარგებლობის უფლებებთან დაკავშირებული დასაშვები გარიგების მასშტაბის, საკითხისა და ხასიათის შესახებ და უნდა განსაზღვრონ, რა უნდა ჩაითვალოს საკუთრებისა და სარგებლობის უფლებებთან დაკავშირებულ ფართომასშტაბიან გარიგებად, თავის, ეროვნულ კონტექსტში.

12.6 სახელმწიფოებმა უნდა შექმნან გარანტიები, რათა დაიცვან საკუთრებისა და სარგებლობის ლეგიტიმური უფლებები, ადამიანის უფლებები, საარსებო საშუალებები, სასურსათო უსაფრთხოება და გარემო რისკებისაგან, რომლებიც შესაძლოა წარმოიშვას საკუთრებისა და სარგებლობის უფლებებთან დაკავშირებული ფართომასშტაბიანი გარიგებებით. ასეთი გარანტიები შესაძლოა, გულისხმობდეს ზღვრების დაწესებას მიწებთან დაკავშირებულ ნებადართულ გარიგებებზე და იმის განსაზღვრას, თუ როგორ უნდა მოხდეს ისეთი ცალკეული გარიგებების დამუშავება, რომელთა მასშტაბი გარკვეულ ზღვარს აჭარბებს; მაგალითად, ასეთი გარიგებები შეიძლება დაშვებულ იქნეს, ოდონდ პარლამენტის თანხმობით. სახელმწიფოებმა უნდა იზრუნონ წარმოებისა და ინვესტირების ისეთი მოდელების მხარდაჭერაზე, რომელსაც შედეგად არ მოჰყვება საკუთრებისა და სარგებლობის უფლებების მასიური გადაცემა ინვესტორებზე და უნდა წახალისონ საკუთრებისა და სარგებლობის უფლებების ადგილობრივ მფლობელებთან პარტნიორობა.

12.7 მკვიდრი ხალხებისა და მათი თემების შემთხვევაში, სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ, რომ მათი ქმედებები თანხმობაში მოდის ეროვნული და საერთაშორისო კანონმდებლობით გათვალისწინებულ ვალდებულებებთან და რომ სათანადო პასუხისმგებლობით ეკიდება შესაბამისი რეგიონული და საერთაშორისო ინსტრუმენტებით განსაზღვრულ, ნებაყოფლობით შესასრულებელ ვალდებულებებს, მათ შორის, შრომის საკითხებს, რომლებსაც ფარავს „დამოუკიდებელ ქვეყნებში მკვიდრი და ტომებად მცხოვრები ხალხების შესახებ“ შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის (#169) კონვენცია და გაერო-ს დეკლარაცია „მკვიდრი ხალხების უფლებების შესახებ“. სახელმწიფოებმა და სხვა ჩართულმა მხარეებმა უნდა გამართონ კეთილსინდისიერი კონსულტაციები მკვიდრ ხალხებთან, ვიდრე წამოიწყებენ საინვესტიციო პროექტებს, რომლებმაც შესაძლოა გავლენა იქონიოს აღნიშნული თემების უფლებების ფარგლებში მოქცეულ რესურსებზე. ამგვარი პროექტები უნდა დაეფუძნოს მკვიდრ ხალხებთან ჩატარებულ ეფექტიან და არსებით კონსულტაციებს, რომლის შესახებაც

საუბარია 9.9 პარაგრაფში. წინამდებარე სახელმძღვანელო მითითებებით გათვალისწინებული კონსულტაციებისა და ჩართულობის პრინციპები უნდა გავრცელდეს ისეთ საინვესტიციო პროექტებზეც, რომლებიც სხვა თემების რესურსებს იყენებს.

12.8 ყველა დაინტერესებულ მხარესთან ერთად, წინამდებარე სახელმძღვანელო მითითებებში შესულ კონსულტაციისა და ჩართულობის პრინციპებთან თანხმობაში, სახელმწიფოებმა უნდა განსაზღვრონ გარემოებები, რომლებიც ხელს უწყობს გონივრულ ინვესტიციებს და შემდგომ, უნდა შექმნას და გამოაქვეყნოს პოლიტიკის დოკუმენტები და კანონები, რომლებიც ახალისებს გონივრულ ინვესტიციებს, პატივს სცემს ადამიანის უფლებებს და ხელს უწყობს სასურსათო უსაფრთხოებას და გარემოს მდგრად ათვისებას. კანონმა უნდა დაადგინოს, რომ საინვესტიციო შეთანხმებებმა ცხადად განსაზღვრონ შეთანხმების თითოეული მხარის უფლებები და ვალდებულებები. საინვესტიციო შეთანხმებები ჰარმონიაში უნდა იყოს ეროვნულ სამართლებრივ მოთხოვნებთან და საინვესტიციო კოდექსებთან.

12.9 სახელმწიფოებმა უნდა გაატარონ ზომები, რომ საკუთრებისა და სარგებლობის უფლებების გადაცემასთან დაკავშირებული, მათ შორის, ყიდვა-გაყიდვისა და პარტნიორობის შეთანხმებების საინვესტიციო პირობები თანხვედრაშია წინამდებარე სახელმძღვანელო მითითებების კონსულტაციისა და ჩართულობის პრინციპებთან მათთვის, ვისი საკუთრებისა და სარგებლობის უფლებებიც, მათ შორის, მეორადი უფლებებიც შესაძლოა გავლენის ქვეშ მოექცეს. სახელმწიფოებმა და საკითხში ჩართულმა სხვა შესაბამისმა მხარეებმა ინფორმაცია უნდა მიაწოდონ ინდივიდებს, ოჯახებსა და თემებს საკუთრებისა და სარგებლობის უფლებებთან დაკავშირებით, რომელსაც ისინი ფლობენ და უნდა დაეხმარონ მათ, რომ განივითარონ კონსულტაციებისა და ჩართულობისათვის საჭირო უნარები, მათ შორის, საჭიროების შემთხვევაში, უნდა გაუწიონ პროფესიონალური დახმარება.

12.10 როდესაც იგეგმება ინვესტიციები, რომლებიც გულისხმობს საკუთრებისა და სარგებლობის უფლებებთან დაკავშირებულ, დიდი მასშტაბის გარიგებებს, მათ შორის, გაყიდვისა და პარტნიორობის შეთანხმებებს, სახელმწიფოები უნდა ისწრაფოდნენ, რომ გაატარონ ზომები, რათა სხვადასხვა მხარემ წინასწარ, დამოუკიდებლად შეაფასოს დადებითი და უარყოფითი გავლენები, რომელიც შესაძლოა, ჰქონდეთ აღნიშნულ ინვესტიციებს საკუთრებისა და სარგებლობის უფლებებზე, სასურსათო უსაფრთხოების და ადეკვატურ საკვებზე, საარსებო საშუალებებსა და გარემოზე უფლების მზარდ რეალიზებაზე. სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ, რომ სისტემატურად და მიუკერძოებლად მოხდეს საკუთრებისა და სარგებლობის არსებული, ლეგიტიმური უფლებების, მათ შორის, საკუთრებისა და სარგებლობის ტრადიციული და არაფორმალური ფორმების იდენტიფიცირება, ისევე როგორც სხვა ჯგუფების, მაგალითად, მცირე მეწარმეების უფლებებისა და საარსებო საშუალებების იდენტიფიცირება, რომლებზეც შესაძლოა გავლენა ჰქონდეს ინვესტიციას. ეს პროცესი უნდა წარიმართოს ყველა დაინტერესებულ მხარესთან კონსულტაციით, წინამდებარე სახელმძღვანელო მითითებებში მოცემული კონსულტაციებისა და ჩართულობის პრინციპების შესაბამისად. სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ, რომ ამგვარმა ინვესტიციებმა ზიანი არ მიაყენონ საკუთრებისა და სარგებლობის არსებულ, კანონიერ უფლებებს.

12.11 კონტრაქტის მხარეებმა უნდა წარმოადგინონ ამომწურავი ინფორმაცია, რათა უზრუნველყონ, რომ მოლაპარაკებებში ჩართულია ყველა რელევანტური ადამიანი და ისინი ინფორმირებულნი არიან. მხარეები უნდა შეეცადონ, რომ შეთანხმებების დოკუმენტირება მოხდეს და იგი სათანადოდ იქნეს გაგებული მისი ზეგავლენის ქვეშ მოქცეული თითოეული სუბიექტის მიერ. მოლაპარაკებების პროცესი უნდა იყოს არადისკრიმინაციული და გენდერულად მგრძობიარე.

12.12 ინვესტორები ვალდებული არიან, პატივი სცენ ეროვნულ კანონმდებლობას და აღიარონ და პატივი სცენ სხვათა საკუთრებისა და სარგებლობის უფლებებსა და კანონის უზენაესობას, წინამდებარე სახელმძღვანელო მითითებებით არასახელმწიფო აქტორებისათვის გათვალისწინებული ზოგადი პრინციპების თანახმად. ინვესტიციებმა არ უნდა შეუწყოს ხელი სასურსათო უსაფრთხოების გაუარესებასა და გარემოს დეგრადაციას.

12.13 პროფესიონალები, რომლებიც მომსახურებას უწევენ სახელმწიფოებს, ინვესტორები და მიწის, ტყისა და თევზის რესურსების საკუთრებისა და სარგებლობის უფლებების მფლობელები, შეძლებისდაგვარად, მაქსიმალური პასუხისმგებლობით უნდა მოეკიდონ მათ მიერ მომსახურების გაწევას, მიუხედავად იმისა, აღნიშნულთან დაკავშირებით არსებობს, თუ არა სპეციალური მოთხოვნა.

12.14 სახელმწიფოებმა და დაინტერესებულმა მხარეებმა მონაწილეობა უნდა მიიღონ საკუთრებისა და სარგებლობის უფლებებთან დაკავშირებული მსხვილმასშტაბიანი გარიგებების შესახებ შეთანხმებების განხორციელებისა და მათი ზეგავლენის ეფექტიან მონიტორინგში. სახელმწიფოებმა უნდა გაატარონ გამოსასწორებელი ზომები, საჭიროების შემთხვევაში, რათა უზრუნველყოფილ იქნეს შეთანხმებების შესრულება და დაცული იყოს საკუთრებისა და სარგებლობის თუ სხვა უფლებები; სახელმწიფოებმა, ასევე, უნდა უზრუნველყონ მექანიზმების არსებობა, სადაც დაზარალებული მხარეები აღნიშნული ზომების გატარების შესახებ მოთხოვნის წარდგენას შეძლებენ.

12.15 თუკი სახელმწიფოები თავიანთი საზღვრების გარეთ ახდენენ ინვესტირებას ანდა მხარს უჭერენ ამგვარ ინვესტიციებს, მათ უნდა უზრუნველყონ, რომ მათი ქმედებები ჰარმონიაში იყოს საკუთრებისა და სარგებლობის ლეგიტიმური უფლებების დაცვასთან, სასურსათო უსაფრთხოების მხარდაჭერასთან და ადგილობრივი და საერთაშორისო კანონმდებლობით ნაკისრ ვალდებულებებთან და სათანადო პასუხისმგებლობით უნდა მოეკიდოს შესაბამისი რეგიონული და საერთაშორისო ინსტრუმენტებით გათვალისწინებული, ნებაყოფლობით შესასრულებელი ვალდებულებების შესრულებას.

13. მიწის ნაკვეთების გამსხვილება და რეორგანიზაციის სხვა მიდგომები

13.1 საჭიროების შემთხვევაში, სახელმწიფოებს შეუძლიათ განიხილონ მიწების გამსხვილების, გაცვლის ან მიწის ნაკვეთებისა თუ საკუთრების რეორგანიზების სხვა ნებაყოფლობითი მიდგომები, მესაკუთრეებისა და მომხმარებლებისათვის მიწის ნაკვეთებისა თუ საკუთრების დაგეგმარებასა და გამოყენებაში დახმარების გაწევის მიზნით, მათ შორის, სასურსათო

უსაფრთხოებისა და სოფლის მდგრადი განვითარების მხარდასაჭერად. სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ, რომ მათი ქმედებები თანხმობაში მოვიდეს ეროვნული და საერთაშორისო კანონმდებლობით ნაკისრ ვალდებულებებთან და სათანადო პასუხისმგებლობით მოეციდოს შესაბამისი რეგიონული და საერთაშორისო ინსტრუმენტებით გათვალისწინებულ, ნებაყოფლობით შესასრულებელ ვალდებულებებს და უნდა შექმნან გარანტიები, რომ აღნიშნულ სქემებში ჩართულ სუბიექტთა ეკონომიკური მდგომარეობა სულ მცირე არ გაუარესდება მაინც სქემებში ჩართვის შემდგომ. ეს მიდგომები უნდა გამოიყენებოდეს იმისათვის, რომ სხვადასხვა მესაკუთრისა თუ მომხმარებლის ინტერესების თავმოყრა ერთ საკანონმდებლო ცვლილებაში მოხდეს.

13.2 საჭიროების შემთხვევაში, სახელმწიფოებს შეუძლიათ განიხილონ მიწის ბანკების შექმნა, როგორც მიწების გამსხვილების პროგრამების ნაწილი, რათა თავი მოუყარონ და დროებით ფლობდნენ მიწის ნაკვეთებს, ვიდრე მათი ბენეფიციარებზე განაწილება მოხდება.

13.3 საჭიროების შემთხვევაში, სახელმწიფოებმა შესაძლოა წაახალისონ და მხარი დაუჭირონ გარემოსდაცვითი და ინფრასტრუქტურული პროექტების საჭიროებისთვის მიწების გამსხვილებასა და მიწის ბანკების შექმნას, რათა ხელი შეუწყონ კერძო საკუთრებაში მყოფი მიწების ასეთი სახელმწიფო პროექტებისათვის გადაცემას და იმისათვის, რომ მოხდეს კომპენსაციის სახით მიწის მფლობელთა, ფერმერთა თუ საკვების მწარმოებელ მცირე მეწარმეთა დაკმაყოფილება მიწებით, რაც შესაძლებლობას მისცემს მათ, გააგრძელონ თავისი წარმოება და გაზარდონ კიდეც ის.

13.4 თუ მცირე მეწარმე ოჯახების ფერმებისა და ტყეების ფრაგმენტაცია ზედმეტად ბევრ ნაკვეთად, ზრდის წარმოების ხარჯებს, სახელმწიფოებმა შესაძლოა დაუშვან მიწების გამსხვილება და მიწის ბანკების შექმნა, რათა ხელი შეუწყონ აღნიშნული ფერმებისა და ტყეების სტრუქტურის გამართულობას. სახელმწიფოებმა თავი უნდა შეიკავონ მიწების გამსხვილების მიდგომის გამოყენებისაგან, როდესაც ფრაგმენტაციას სარგებელი მოაქვს, მაგალითად, რისკების შემცირების თუ მოსავლის დივერსიფიკაციის სახით. ფერმების რეორგანიზებისათვის მიწების გამსხვილების პროექტები ინტეგრირებული უნდა იყოს ფერმერთა მხარდაჭერის პროგრამებში, როგორცაა სარწყავი სისტემებისა და შიდა გზების რეაბილიტაციის პროგრამები. უნდა შემუშავდეს ზომები მიწის ნაკვეთების გამსხვილებაში ჩადებული ინვესტიციების დასაცავად, რათა არ მოხდეს გამსხვილებული ნაკვეთების მომავალში დანაწევრება.

13.5 სახელმწიფოებმა უნდა შექმნან რეორგანიზაციის სტრატეგიები, რომლებიც კონკრეტულ ადგილობრივ მოთხოვნილებებს მოერგება. ასეთი სტრატეგიები უნდა იყოს სოციალურად, ეკონომიკურად და გარემოს დაცვის თვალსაზრისით მდგრადი და უნდა ითვალისწინებდეს გენდერულ საკითხებს. სტრატეგიებში უნდა მოხდეს რეორგანიზაციის მიდგომების; ბენეფიციარების პრინციპებისა და მიზნების, ისევე როგორც შესაძლებლობებისა და ცოდნის განვითარების მიმართულების იდენტიფიცირება საჯარო სექტორში, კერძო სექტორში, ფერმერთა და მცირე მეწარმეთა ორგანიზაციებში, მეთევზეებსა და ტყით მოსარგებლეებში და აკადემიურ სფეროში. კანონით უნდა განისაზღვროს ცხადი და ეკონომიკურად ეფექტიანი პროცედურები ნაკვეთებისა და საკუთრებების თუ მათით სარგებლობის რეორგანიზაციისათვის.

13.6 სახელმწიფოებმა უნდა შექმნან სათანადო გარანტიები პროექტებში, რომლებშიც ხდება რეორგანიზაციის მიდგომების გამოყენება. თითოეულ ინდივიდთან, თემთან თუ ხალხთან, რომელზეც შესაძლოა გავლენა იქონიოს პროექტმა, უნდა დამყარდეს კომუნიკაცია და სათანადო ენებზე უნდა მიეწოდოთ მათ ინფორმაცია. უზრუნველყოფილ უნდა იქნეს ტექნიკური და ლეგალური მხარდაჭერა. გამოყენებული უნდა იყოს ჩართულობაზე ორიენტირებული და გენდერულად მგრძობიარე მიდგომა, რომელიც გაითვალისწინებს მკვიდრი ხალხების უფლებებს. უნდა შეიქმნას გარემოს დაცვის გარანტიები, რათა მოხდეს ბიომრავალფეროვნების დეგრადირებისა და კარგვის პრევენცია ან მინიმიზაცია, ასევე, წახალისებულ უნდა იქნეს ცვლილებები, რომლებიც ხელს შეუწყობს მიწების კეთილსინდისიერ მართვას, საუკეთესო პრაქტიკის გამოყენებას და რეკულტივაციას.

14. რესტიტუცია

14.1 ეროვნული კონტექსტის გათვალისწინებით, საჭიროებიდან გამომდინარე, სახელმწიფოებმა უნდა განიხილონ რესტიტუციის საკითხი მიწის, ტყისა და თევზის რესურსების საკუთრებისა და სარგებლობის ლეგიტიმური უფლებების დაკარგვის შემთხვევაში. სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ, რომ მათი თითოეული ქმედება თანხვედრაშია ეროვნული და საერთაშორისო კანონმდებლობით ნაკისრ ვალდებულებებთან და სათანადო პასუხისმგებლობით ეკიდება შესაბამისი რეგიონული და საერთაშორისო ინსტრუმენტებით გათვალისწინებულ, ნებაყოფლობით შესასრულებელ ვალდებულებებს.

14.2 კომპეტენტური ეროვნული ორგანოების განკარგულებით, დაკარგული მიწის ნაკვეთები თუ სხვა ტიპის საკუთრება, შესაძლებლობის ფარგლებში, უნდა დაუბრუნდეთ თავდაპირველ მესაკუთრეებს ანდა მათ შთამომავლებს. თუკი თავდაპირველი მიწის ნაკვეთის ან კრძო საკუთრების დაბრუნება შეუძლებელია, სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს დროული და სამართლიანი კომპენსაცია ფულის ან ალტერნატიული მიწის ნაკვეთისა თუ საკუთრების სახით, რათა უზრუნველყოფილი იყოს თითოეული დაზარალებულისადმი სამართლიანი მიდგომა.

14.3 საჭიროებიდან გამომდინარე, რესტიტუციასთან დაკავშირებით მკვიდრი მოსახლეობის საკითხების გადაჭრა უნდა მოხდეს ეროვნული კონტექსტისა და ეროვნულ დონეზე არსებული კანონმდებლობისა და სამართლებრივი სისტემის გათვალისწინებით.

14.4 სახელმწიფოებმა უნდა გაატარონ გენდერულად მგრძობიარე პოლიტიკა და კანონები, რომლებიც უზრუნველყოფენ რესტიტუციის ცხად, გამჭვირვალე პროცედურებს. რესტიტუციის პროცედურებთან დაკავშირებული ინფორმაცია ხელმისაწვდომი უნდა იყოს ფართოდ, შესაბამის ენებზე. რესტიტუციის მაძიებლებს ხელი უნდა მიუწვდებოდეთ ადეკვატურ დახმარებაზე მთელი პროცესის განმავლობაში, მათ შორის, იურისტებისა და მათი ასისტენტების დახმარებაზე. სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ, რომ დროულად მოხდეს რესტიტუციასთან დაკავშირებული განაცხადების განხილვა. საჭიროებიდან გამომდინარე, რესტიტუციის წარმატებულ მაძიებლებს უნდა გაეწიოთ მხარდაჭერის სერვისები, რათა მათ სრულად შეძლონ საკუთრებისა და სარგებლობის უფლებებით სარგებლობა და თავიანთი

ვალდებულებების შესრულება. შესრულების მდგომარეობასთან დაკავშირებული ინფორმაცია საყოველთაოდ უნდა გავრცელდეს.

15. გადანაწილების რეფორმები

15.1 გადანაწილების რეფორმებს შეუძლია ხელი შეუწყოს მიწის რესურსებზე საყოველთაო და სამართლიან წვდომასა და სასოფლო დასახლებების ინკლუზიურ განვითარებას. ამასთან დაკავშირებით, ეროვნული კონტექსტიდან გამომდინარე სადაც საჭიროა, სახელმწიფოებმა შესაძლოა დაუშვან სახელმწიფო მიწების განაწილება, ნებაყოფლობითი და საბაზრო მექანიზმების გამოყენება, ისევე როგორც მიწების, ტყისა და თევზის კერძო საკუთრებაში მყოფი რესურსების ექსპროპრიაცია, საზოგადოებრივი საჭიროებისთვის.

15.2 გადანაწილების რეფორმების კონტექსტში, პოლიტიკის სახით სახელმწიფოებმა შესაძლოა დაწერონ მიწის ფლობის საზღვრების დადგენის პრაქტიკა.

15.3 ეროვნულ კონტექსტსა და ეროვნულ დონეზე არსებულ კანონმდებლობასთან და სამართლებრივ სისტემებთან თანხმობაში, გადანაწილების რეფორმების გატარება, შესაძლოა, განხილული იქნეს სოციალური, ეკონომიკური და გარემოსდაცვითი მიზნების მისაღწევად, მათ შორის, მაშინ, როდესაც კერძო საკუთრების კონცენტრირების მაღალი დონე ერწყმის სოფლად არსებული სიღარიბის მნიშვნელოვან მაჩვენებელს, რაც გამოწვეულია მიწის, ტყისა და თევზის რესურსებზე მუზღუდული წვდომით; და ამასთან, მე-15 ნაწილით გათვალისწინებული შესწორებების თანახმად, პატივს სცემს საკუთრებისა და სარგებლობის უფლებების ყველა ლეგიტიმურ მფლობელს. გადანაწილების რეფორმებმა უნდა უზრუნველყოს ქალებისა და კაცების თანაბარი წვდომა მიწის, ტყისა და თევზის რესურსებზე.

15.4 თუკი სახელმწიფოები გადაწყვეტენ, რომ გაატარონ გადანაწილების რეფორმები, მათ უნდა უზრუნველყონ, რომ რეფორმები თანხმობაში მოდის ეროვნული და საერთაშორისო კანონმდებლობით მათ მიერ ნაკისრ ვალდებულებებთან და რეგიონული და საერთაშორისო ინსტრუმენტებით გათვალისწინებულ, ნებაყოფლობით შესასრულებელ ვალდებულებებთან. რეფორმებმა უნდა გაითვალისწინოს კანონის უზენაესობა და მათი გატარება უნდა მოხდეს ეროვნული დონეზე არსებული კანონებისა და პროცედურების თანახმად. სახელმწიფოებმა ხელი უნდა შეუწყონ გადანაწილებაზე კონსულტაციების გამართვას, წინამდებარე სახელმძღვანელო მითითებების პრინციპებთან თანხმობაში, მათ შორის, დაინტერესებულ მხარეთა ინტერესების დაბალანსებისა და გამოყენებული მეთოდების შესახებ. უნდა დამყარდეს პარტნიორული ურთიერთობები სახელმწიფოს, თემებს, სამოქალაქო საზოგადოებას, კერძო სექტორს, ფერმერთა და მცირე მეწარმეთა, მეთევზეთა და ტყით მოსარგებლეთა ორგანიზაციებს და სხვა მხარეთა შორის. ბუნეფიციართა ფინანსური და სხვა სახის შესატანი წილი უნდა იყოს გონივრული და არ უნდა აიძულოს მათ, აიღონ ისეთი ოდენობის ვალი, რომლის გადახდასაც ვერ შეძლებენ. ვინც მიწის, ტყისა და თევზის რესურსების საკუთრებისა და სარგებლობის უფლებებს დათმობს, უნდა მიიღონ სამართლიანი კომპენსაცია, გაუმართლებელი დაგვიანების გარეშე.

15.5 თუკი სახელმწიფოები გადაწყვეტენ გადანაწილების რეფორმების გატარებას, მათ ცხადად უნდა განსაზღვრონ რეფორმის პროგრამების მიზნები და უნდა დაადგინონ მიწები, რომლებსაც აღნიშნული გადანაწილება არ ეხებათ. ნათლად უნდა იქნეს დადგენილი სავარაუდო ბენეფიციარები, მაგალითად: ოჯახები, მათ შორის ისინი, რომლებსაც მიწის საკარმიდამოდ გამოყენება სურთ, ქალები, არაფორმალური დასახლებების მაცხოვრებლები, მწყემსები, ისტორიულად არაპრივილეგირებული ჯგუფები, მარგინალიზებული ჯგუფები, ახალგაზრდები, მკვიდრი ხალხები, შემგროვებლები და საკვები პროდუქტების მცირე მეწარმეები.

15.6 როდესაც სახელმწიფოები გადაწყვეტენ, რომ გაატარონ გადანაწილების რეფორმები, დაინტერესებულ მხარეთა ფართო ჩართულობის მეშვეობით, მათ უნდა შეიმუშაონ პოლიტიკები და კანონები, რომლებიც მათ მდგრადობას განაპირობებს. სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ, როგორც ინდივიდების ისე ოჯახებისა და თემების დონეზე, რომ პოლიტიკები და კანონები ბენეფიციარებს დაეხმაროს თავის რჩენისათვის ადეკვატური შემოსავლის მიღებაში მიწის, ტყისა და თევზის რესურსებიდან, რომელსაც ისინი ფლობენ და უზრუნველყოფილი უნდა იყოს გადანაწილების რეფორმების ფარგლებში ქალებისა და კაცებისადმი თანასწორი მოპყრობა. სახელმწიფოებმა უნდა გადახედონ პოლიტიკებს, რომლებმაც შესაძლოა, ხელი შეუშალოს გადანაწილების რეფორმებით გათვალისწინებული შედეგების მიღწევას და მათ მდგრადობას.

15.7 როდესაც სახელმწიფოები განიხილავენ გადანაწილების რეფორმების გატარების შესაძლებლობას, საკუთარი სურვილიდან გამომდინარე, მათ უფლება აქვთ, რომ მოახდინონ სავარაუდო დადებითი და უარყოფითი შედეგების შეფასება, რომელიც შესაძლოა აღნიშნული რეფორმების გატარებას მოჰყვეს საკუთრებისა და სარგებლობის უფლებებზე, სასურსათო უსაფრთხოებასა და ადეკვატურ საკვებზე, საარსებო საშუალებებსა და გარემოზე უფლების ეტაპობრივი განხორციელებაზე. აღნიშნული შეფასების პროცესი უნდა წარიმართოს წინამდებარე სახელმძღვანელო მითითებებით გათვალისწინებული კონსულტაციებისა და ჩართულობის პრინციპებთან თანხმობაში. აღნიშნული შეფასებები შესაძლოა გამოყენებული იყოს როგორც ბენეფიციართა მხარდაჭერისა და გადანაწილების პროგრამების გაუმჯობესებისათვის საჭირო ზომების დადგენის საფუძველი.

15.8 სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ, რომ მიწების გადანაწილების რეფორმის პროგრამები ითვალისწინებდეს ბენეფიციართა სრული მხარდაჭერის ისეთ ზომებს, როგორცაა ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა კრედიტზე, მოსავლის დაზღვევაზე, წარმოების საშუალებებზე, ბაზრებზე, სოფლებში წამყვანი გამოცდილების გავრცელებაში ტექნიკურ მხარდაჭერაზე, ფერმების განვითარებასა და საცხოვრებელზე. მხარდაჭერის სერვისების უზრუნველყოფა დროში კოორდინირებული უნდა იყოს ბენეფიციართა ახალ მიწაზე გადაადგილების პროცესთან. მიწის რეფორმების სრული ხარჯები, მათ შორის, მხარდაჭერის სერვისების საფასური, წინასწარ უნდა იქნეს დათვლილი და გათვალისწინებული შესაბამის ბიუჯეტში.

15.9 გადანაწილების რეფორმები სახელმწიფოებმა უნდა განახორციელონ გამჭვირვალე, ჩართულობის მაღალი დონის და პასუხისმგებლიანი მიდგომებისა და პროცედურების მეშვეობით. თითოეულ დაინტერესებულ მხარესთან უნდა მოხდეს შესაბამისი პროცედურებისა და სამართლიანი კომპენსაციის პირობების შეთანხმება, ეროვნული კანონმდებლობისა და მე-16

ნაწილში გაწერილი პირობების თანახმად. თითოეულმა დაინტერესებულმა მხარემ, მათ შორის, არაპრივილეგირებულ მდგომარეობაში მყოფმა ჯგუფებმა უნდა მიიღონ სრული და გასაგები ინფორმაცია რეფორმებთან დაკავშირებით, მათ შორის, გენდერულად ფოკუსირებული შეტყობინებების მეშვეობით. ბენეფიციარების შერჩევა უნდა მოხდეს ღიად და უნდა მოხდეს მათი აღჭურვა საკუთრებისა და სარგებლობის გარანტირებული უფლებით, რაც დაფიქსირებული უნდა იყოს რეესტრში. ეროვნული კანონმდებლობა უნდა ითვალისწინებდეს დავების გადაწყვეტის ინსტრუმენტებს. სახელმწიფოები უნდა ისწრაფოდნენ, რომ აღმოფხვრან კორუფცია გადანაწილების რეფორმის პროგრამებში, მაგალითად, გაზრდილი გამჭვირვალობისა და ჩართულობის გზით.

15.10 სახელმწიფოებმა, დაინტერესებულ მხარეებთან ერთად, მონიტორინგი უნდა გაუწიონ და შეაფასონ გადანაწილების რეფორმის პროგრამები, ასევე, აღნიშნულ პროგრამებთან დაკავშირებული მე-15.8 პარაგრაფში ნახსენები პოლიტიკები და მათი ზეგავლენა მიწაზე ხელმისაწვდომობაზე და სასურსათო უსაფრთხოებაზე, როგორც ქალებისათვის, ისე კაცებისათვის; საჭიროების შემთხვევაში, სახელმწიფომ უნდა გაატაროს ზომები სიტუაციის გამოსასწორებლად.

16. ექსპროპრიაცია და კომპენსაცია

16.1 ეროვნულ დონეზე არსებული კანონმდებლობისა და სამართლებრივი სისტემის და შესაბამისი ეროვნული კონტექსტის გათვალისწინებით, სახელმწიფოებმა ექსპროპრიაცია უნდა მოახდინონ მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც საჭირო ხდება მიწის, ტყისა და თევზის რესურსებზე უფლების გამოყენება საზოგადოებრივი საჭიროებისთვის. სახელმწიფოებმა კანონში გასაგებად უნდა განმარტონ საზოგადოებრივი საჭიროების ცნება, რათა შესაძლებელი იყოს გადაწყვეტილების გადასინჯვა სასამართლოს მეშვეობით. სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ, რომ მათი თითოეული ქმედება თანხმობაში მოვიდეს ეროვნულ კანონმდებლობასთან, ისევე როგორც ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე არსებული კანონმდებლობით ნაკისრ ვალდებულებებთან და სათანადო პასუხისმგებლობით მოეკიდოს შესაბამისი რეგიონული და საერთაშორისო ინსტრუმენტებით გათვალისწინებულ, ნებაყოფლობით შესასრულებელ ვალდებულებებს. აუცილებელი მინიმალური რესურსებით აღჭურვისა და ეროვნულ დონეზე არსებული კანონმდებლობით გათვალისწინებული დროული კომპენსაციის მეშვეობით, სახელმწიფოებმა პატივი უნდა სცენ საკუთრებისა და სარგებლობის უფლებების მქონე თითოეულ მფლობელს, განსაკუთრებით მოწყვლად და მარგინალიზებულ ჯგუფებს.

16.2 სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ ექსპროპრიაციის დაგეგმვისა და განხორციელების პროცესის გამჭვირვალობა და მონაწილეობითობა. დადგენილ უნდა იქნეს ყველა, ვისაც შესაძლოა შეეხოს ექსპროპრიაცია; უნდა მოხდეს მათი სათანადო ინფორმირება და კონსულტაციების გამართვა პროცესის თითოეულ ეტაპზე. კონსულტაციების პროცესში, წინამდებარე სახელმძღვანელო მითითებებით გათვალისწინებული პრინციპების თანახმად, უნდა მოხდეს ინფორმაციის მიწოდება საზოგადოებრივი საჭიროების დაკმაყოფილების

შესაძლო ალტერნატიულ მიდგომებთან დაკავშირებით და განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს საარსებო საშუალებებისთვის ზიანის მიყენების მინიმუმამდე დაყვანის სტრატეგიებს. სახელმწიფოები განსაკუთრებით მგრძნობიარენი უნდა იყვნენ იმ შემთხვევებისადმი, სადაც ექსპროპრიაციის პროცესი შეეხება კულტურული, რელიგიური და გარემოსდაცვითი თვალსაზრისით მნიშვნელოვან ტერიტორიებს ან სადაც ექსპროპრიაციის ქვეშ მოყოლილი მიწის, ტყისა და თევზის რესურსები განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ღარიბი თუ მოწყვლადი ჯგუფების არსებობისთვის.

16.3 სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ სამართლიანი შეფასება და დროული კომპენსაცია ეროვნულ კანონმდებლობასთან შესაბამისად. კომპენსაცია შესაძლოა მოხდეს სხვადასხვა ფორმით, მაგალითად, ნაღდი ანგარიშსწორებით, ალტერნატიულ ტერიტორიებზე უფლებების გადაცემით ანდა შერეული სახით.

16.4 არსებული რესურსების გათვალისწინებით, სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ, რომ აღსრულებაზე პასუხისმგებელ ორგანოებს გააჩნდეთ შესაბამისი ადამიანური, ფიზიკური, ფინანსური და სხვა ფორმის პოტენციალი.

16.5 როდესაც გეგმებში მომხდარი ცვლილებების გამო აღარ არსებობს მიწის, ტყისა და თევზის რესურსების საჭიროება, სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ რომ პირველ რიგში აღნიშნული რესურსების თავდაპირველ მფლობელებს ჰქონდეთ მათი დაბრუნების საშუალება. ასეთ შემთხვევაში, რესურსების დაბრუნებისას უნდა მოხდეს კომპენსაციის მოცულობის გათვალისწინება, რომლის გაცემაც მოხდა ექსპროპრიაციისას.

16.6 ყველა დაინტერესებული მხარე უნდა ისწრაფოდეს კორუფციისთვის ხელის შეშლისკენ, განსაკუთრებით, ღირებულების ობიექტურად შეფასების მეშვეობით, გამჭვირვალე და დეცენტრალიზებული პროცედურებითა და მომსახურებით, ასევე, აპელაციის უფლების უზრუნველყოფით.

16.7 როდესაც საზოგადოებრივი საჭიროებიდან გამომდინარე, მიწის, ტყისა და თევზის რესურსების ექსპროპრიაციის გამო გამოსახლება გამართლებულად მიიჩნევა, სახელმწიფოებმა გამოსახლება უნდა მოახდინონ და ყველა დაინტერესებულ მხარეს უნდა მოეპყრონ იმ სათანადო ვალდებულებების შესაბამისად, რომელიც მათ ადამიანის უფლებების პატივისცემის, დაცვისა და რეალიზაციის სფეროში აკისრიათ.

16.8 გამოსახლებამდე ანდა მიწისთვის დანიშნულების შეცვლამდე, რომელსაც შესაძლოა, შედეგად მოჰყვეს ინდივიდებისა და თემებისთვის მათთვის საჭირო საწარმოო რესურსებზე ხელმისაწვდომობის შეზღუდვა, სახელმწიფოებმა, წინამდებარე სახელმძღვანელო მითითებების პრინციპების გათვალისწინებით, უნდა შეისწავლონ გონივრული ალტერნატივები, დაინტერესებულ მხარეებთან კონსულტაციების გზით, იმ განზრახვით, რომ თავიდან აირიდონ ან სულ მცირე, მინიმუმამდე მაინც დაიყვანონ გამოსახლების საჭიროება.

16.9 გამოსახლების და გადასახლების შედეგი არ უნდა იყოს ადამიანების ქცევა უსახლკაროებად და არ უნდა აყენებდეს მათ ადამიანის უფლებების დარღვევის საფრთხის წინაშე. როდესაც ადამიანებს არ შესწევთ უნარი, თავი ირჩინონ, არსებული რესურსების გათვალისწინებით, სახელმწიფომ უნდა გაატაროს შესაბამისი ზომები, რათა უზრუნველყოს

მათთვის ალტერნატიული საცხოვრისი, მათი გადასახლება ანდა ხელმისაწვდომობა პროდუქტიულ მიწებზე, ტყეებსა და თევზის რესურსებზე, კონკრეტული შემთხვევიდან გამომდინარე.

ნაწილი 5

საკუთრებისა და სარგებლობის საკითხების ადმინისტრირება

სახელმძღვანელო მითითებების ეს ნაწილი ეხება მიწის, ტყისა და თევზის რესურსების საკუთრებისა და სარგებლობის საკითხების ადმინისტრირებას საკუთრებისა და სარგებლობის უფლებების აღრიცხვასთან, შეფასებასთან, დაბეგვრასთან, სივრცითი დაგეგმვის რეგულირებასთან, საკუთრებისა და სარგებლობის საკითხებზე დავების გადაწყვეტასა და ტრანსსასაზღვრო საკითხებთან დაკავშირებით.

17. საკუთრებისა და სარგებლობის უფლებების აღრიცხვა

17.1 სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ საკუთრებისა და სარგებლობის ინდივიდუალური და კოლექტიური უფლებების აღრიცხვის სისტემების (როგორცაა სარეგისტრაციო, საკადასტრო და სალიცენზიო სისტემები) შექმნა, აღნიშნული უფლებების განმტკიცებისათვის, მათ შორის, უფლებების, რომლებსაც ფლობს სახელმწიფო და საჯარო სექტორი, კერძო სექტორი და მკვიდრი ხალხები თუ საკუთრებისა და სარგებლობის ტრადიციული სისტემების მქონე სხვა თემები; ასევე, ადგილობრივი თემებისა და ბაზრების ფუნქციონირებისათვის. აღნიშნული სისტემების მეშვეობით უნდა მოხდეს საკუთრებისა და სარგებლობის უფლებებისა და ვალდებულებების აღრიცხვა, დაფიქსირება და გავრცელება, მათ შორის, ინფორმაციის იმასთან დაკავშირებით, თუ ვინ ფლობს ამ უფლებებსა და ვალდებულებებს, ისევე როგორც მიწის ნაკვეთებს ან მიწის, ტყისა და თევზის რესურსებთან დაკავშირებულ საკუთრებებს, რომლებსაც აღნიშნული უფლებები და ვალდებულებები მიემართებათ.

17.2 სახელმწიფოებმა უნდა შექმნან კონკრეტული გარემოებების, მათ შორის, არსებული ადამიანური და ფინანსური რესურსების შესაბამისი სააღრიცხვო სისტემები. უნდა მოხდეს მკვიდრი ხალხებისა და საკუთრებისა და სარგებლობის ტრადიციული სისტემების მქონე თემების უფლებების სოციო-კულტურულად მისაღები აღრიცხვის ხერხების შემუშავება და გამოყენება. იმისათვის, რომ გაიზარდოს გამჭვირვალობა და სივრცითი დაგეგმარებისა თუ სხვა დანიშნულების ინფორმაციის სხვადასხვა წყაროსთან თავსებადობა, თითოეული სახელმწიფო უნდა ისწრაფოდეს ერთიანი მექანიზმის შექმნისაკენ, რომელიც აერთიანებს აღრიცხვის არსებულ სისტემებსა და სხვა ტიპის სივრცით ინფორმაციულ სისტემებს. თითოეული იურისდიქციის ფარგლებში, სახელმწიფოსა და საჯარო სექტორის, კერძო სექტორისა და მკვიდრი ხალხებისა თუ საკუთრებისა და სარგებლობის ტრადიციული სისტემების მქონე სხვა

თემების საკუთრებისა და სარგებლობის რეგისტრირებული უფლებები თავს უნდა იყრიდეს ერთიან საადრიცხვო სისტემაში. როდესაც შეუძლებელია მკვიდრი ხალხების და საკუთრებისა და სარგებლობის უფლებების ტრადიციული სისტემების მქონე თემების ანდა არაფორმალური დასახლებების მაცხოვრებლების საკუთრებისა და სარგებლობის უფლებების რეგისტრაცია, განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს კონკურენტული უფლებების რეგისტრაციის თავიდან არიდებას.

17.3 სახელმწიფოები უნდა ისწრაფოდნენ იმის უზრუნველყოფისაკენ, რომ თითოეულ მოქალაქეს შეეძლოს თავისი საკუთრებისა და სარგებლობის უფლებების რეგისტრაცია და სათანადო ინფორმაციის მიღება ყოველგვარი ნიშნით დისკრიმინაციის გარეშე. საჭიროების შემთხვევაში, განხორციელებაზე პასუხისმგებელმა სტრუქტურებმა, მაგალითად, მიწის რეესტრმა, უნდა შექმნას მომსახურების ცენტრები ან მობილური ოფისები, ქალების, ღარიბი მოსახლეობისა და მოწყვლადი ჯგუფებისათვის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფისათვის. საზოგადოებისათვის საკუთრებისა და სარგებლობის უფლებების შესახებ ინფორმაციის მიწოდებისას სახელმწიფოები უნდა დაეყრდნონ ადგილობრივ პროფესიონალებს, მაგალითად, იურისტებს, ნოტარიუსებს, გეოდეზისტებსა და სოციალურ მეცნიერებს.

17.4 შესრულებაზე პასუხისმგებელმა ორგანოებმა უნდა დანერგონ გამარტივებული პროცედურები და ადგილობრივ კონტექსტზე მორგებული ტექნოლოგიები მომსახურების მიწოდებისათვის საჭირო დანახარჯებისა და დროის შესამცირებლად. მიწის ნაკვეთებისა და სხვა ტერიტორიული ერთეულების სივრცითი სიზუსტე უნდა იყოს იმდენად სათანადო, რომ შესაძლებელს ხდიდეს მათ იდენტიფიცირებას და აკმაყოფილებდეს ადგილობრივ მოთხოვნილებებს; ამასთან, თუ საჭიროება მოითხოვს, დროთა განმავლობაში, სივრცითი სიზუსტე უნდა გაიზარდოს. საკუთრებისა და სარგებლობის უფლებების რეესტრის გამოყენების ხელშესაწყობად, შესრულებაზე პასუხისმგებელმა ორგანოებმა ერთმანეთთან უნდა დააკავშირონ ინფორმაცია უფლებების შესახებ, უფლებებით აღჭურვილი სუბიექტები და აღნიშნულ უფლებებთან დაკავშირებული ტერიტორიული ერთეულები. ადრიცხვის წარმოებისას საძიებელი სისტემისათვის გამოყენებული უნდა იყოს ტერიტორიული ერთეულები, ისევე როგორც მფლობელთა ვინაობა, რათა შესაძლებელი იყოს უფლებათა იდენტიფიცირება, რომლებიც ერთმანეთს გადაფარავენ ანდა ერთმანეთს უწევენ კონკურენციას. საჯარო ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობის ზოგადი პოლიტიკის ფარგლებში, საკუთრებისა და სარგებლობის შესახებ უფლებების რეესტრი ხელმისაწვდომი უნდა იყოს საჯარო სამსახურებისა და ადგილობრივი მთავრობებისათვის, რათა მათ გააუმჯობესონ თავისი მომსახურება. ინფორმაციის გაზიარება უნდა მოხდეს ეროვნული სტანდარტების შესაბამისად და უნდა მოიცავდეს საკუთრებისა და სარგებლობის უფლებების შესახებ დეტალურ მონაცემებს.

17.5 სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ, საკუთრებისა და სარგებლობის შესახებ უფლებებთან დაკავშირებული ინფორმაციის ყველასთვის ხელმისაწვდომობა, პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობასთან დაკავშირებული მეზღუდვების ფარგლებში. აღნიშნულმა მეზღუდვებმა უმიზეზოდ არ უნდა შეუშალოს ხელი კორუფციული და უკანონო გარიგებების გამოვლენისკენ მიმართულ საზოგადოებრივ კონტროლს. სახელმწიფო და არასახელმწიფო სტრუქტურებმა დამატებითი ძალისხმევა უნდა გაიღონ, რათა აღკვეთონ კორუფცია საკუთრებისა და სარგებლობის უფლებების ადრიცხვის წარმოებაში პროცესების, მოთხოვნების,

გადასახადებისა და ყოველგვარი გამონაკლისების, ასევე, მომსახურების გაწევის შესახებ მოთხოვნაზე პასუხის გაცემის ვადების შესახებ ინფორმაციის ფართოდ გავრცელების გზით.

18. შეფასება

18.1 სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ, რომ კონკრეტული მიზნებისათვის, როგორცაა ბაზრების მუშაობა, სესხების უზრუნველყოფა, ინვესტიციების შედეგად საკუთრებისა და სარგებლობის უფლებების გადაცემა, ექსპროპრიაცია და დაბეგვრა, საკუთრებისა და სარგებლობის უფლებების დროული და სამართლიანი შეფასება, სათანადო სისტემები გამოიყენება. აღნიშნულმა სისტემებმა ხელი უნდა შეუწყონ უფრო ზოგად სოციალური, ეკონომიკური, გარემოსდაცვითი და მდგრადი განვითარების მიზნების მიღწევას.

18.2 შეფასებასთან დაკავშირებული პოლიტიკები და კანონები უნდა ისწრაფოდნენ რომ შეფასების სისტემებმა გაითვალისწინოს არასაბაზრო ღირებულებები, როგორცაა სოციალური, კულტურული, რელიგიური, სულიერი და გარემოსდაცვითი ღირებულებები, კონკრეტული სიტუაციიდან გამომდინარე.

18.3 სახელმწიფოებმა უნდა შეიმუშაონ პოლიტიკები და კანონები, რომლებიც ახალისებენ და მოითხოვენ გამჭვირვალობას საკუთრებისა და სარგებლობის უფლებების შეფასებისას. ფასების დადგენის ნათელი და სანდო საფუძვლის შესაქმნელად, უნდა აღირიცხოს, გაანალიზდეს და ხელმისაწვდომი უნდა იყოს გაყიდვის ფასები და სხვა რელევანტური ინფორმაცია.

18.4 სახელმწიფოებმა და საკითხთან დაკავშირებულმა სხვა მხარეებმა უნდა შეიმუშაონ და გამოაქვეყნონ ეროვნული სტანდარტები სამთავრობო, კომერციული და სხვა მიზნებით შეფასებისათვის. ეროვნული სტანდარტები თანხმობაში უნდა მოდიოდეს შესაბამის საერთაშორისო სტანდარტებთან. პერსონალის ტრენინგი უნდა მოიცავდეს მეთოდოლოგიასა და საერთაშორისო სტანდარტებს.

18.5 შესრულებაზე პასუხისმგებელმა სტრუქტურებმა მათი შეფასების შესახებ ინფორმაცია და ანალიზი საჯაროდ ხელმისაწვდომი უნდა გახადონ, ეროვნული სტანდარტების გათვალისწინებით. სახელმწიფოები უნდა ისწრაფოდნენ, რომ თავიდან აიცილონ კორუფცია შეფასებაში, სახელმწიფო რესურსების ადმინისტრირებასა და კომპენსაციების გაცემის, ასევე, კორპორატიული ანგარიშებისა და დაკრედიტების სფეროში ინფორმაციისა და მეთოდოლოგიის გამჭვირვალობის უზრუნველყოფის გზით.

19. დაბეგვრა

19.1 სახელმწიფოებს აქვთ იმის უფლება, რომ საკუთრებისა და სარგებლობის უფლებებთან დაკავშირებული გადასახადების მეშვეობით გარკვეული შემოსავალი მიიღონ, რათა უფრო ფართო სოციალურ, ეკონომიკურ და გარემოსდაცვით მიზნებს მიაღწიონ. აღნიშნული მიზნები

შესაძლოა, გულისხმობდეს ინვესტიციების წახალისებას ანდა არასასურველი შედეგებისათვის ხელის შეშლას, რომელიც შესაძლოა დადგეს, მაგალითად, სპეკულაციებისა და საკუთრების უფლების, თუ საკუთრებისა და სარგებლობის სხვა უფლებების კონცენტრირებას. გადასახადებმა ხელი უნდა შეუწყოს სოციალურად, ეკონომიკურად და გარემოსდაცვითი თვალსაზრისით სასურველ ქმედებებს, როგორცაა ტრანზაქციათა რეგისტრაცია თუ სრული გასაყიდი ღირებულების დეკლარირება.

19.2 სახელმწიფოები უნდა ისწრაფოდნენ, რომ შეიმუშაონ პოლიტიკები, კანონები და ორგანიზაციული მექანიზმები საკუთრებისა და სარგებლობის უფლებების დაბეგრასთან დაკავშირებული ყოველგვარი საკითხის რეგულირებისათვის. საგადასახადო პოლიტიკები და კანონები, სადაც საჭიროა, გამოყენებულ უნდა იქნეს იმისათვის, რომ უზრუნველყოფილი იყოს მთავრობის დეცენტრალიზებული დონეების ეფექტიანი დაფინანსება და სერვისებისა და ინფრასტრუქტურის ადგილობრივ დონეზე უზრუნველყოფა.

19.3 სახელმწიფოებმა საგადასახადო ადმინისტრირება უნდა განახორციელონ ეფექტიანად და გამჭვირვალედ. შესრულებაზე პასუხისმგებელი სტრუქტურების პერსონალმა უნდა გაიაროს ტრენინგი, რომელიც ასევე შეეხება მეთოდოლოგიებს. გადასახადები უნდა განისაზღვროს ღირებულების სათანადო შეფასების საფუძველზე. ღირებულებებისა და დასაბეგრი ოდენობების შეფასება ხელმისაწვდომი უნდა იყოს საზოგადოებისთვის. სახელმწიფოებმა გადასახადების გადამხდელებს უნდა მიანიჭონ შეფასებების გასაჩივრების უფლება. სახელმწიფოები უნდა ისწრაფოდნენ, რომ წინ აღუდგინონ კორუფციას საგადასახადო სისტემაში, ობიექტურად შეფასებული ღირებულებების გამოყენებაში გაზრდილი გამჭვირვალობის მეშვეობით.

20. რეგულირებული სივრცითი დაგეგმარება

20.1 რეგულირებული სივრცითი დაგეგმარება გავლენას ახდენს საკუთრებისა და სარგებლობის უფლებაზე მათი გამოყენების კანონიერი გზით შეზღუდვის მეშვეობით. სახელმწიფოებმა უნდა განახორციელონ რეგულირებული სივრცითი დაგეგმარება, უნდა გაუწიონ ზედამხედველობა და გაიღონ ძალისხმევა აღნიშნული გეგმების შესასრულებლად, მათ შორის, დაბალანსებული და მდგრადი ტერიტორიული განვითარებისათვის, ისე, რომ ხელი შეუწყოს წინამდებარე სახელმძღვანელო მითითებების მიზნების შესრულებას. ამ მხრივ, სივრცითმა დაგეგმარებამ მიწის, ტყისა და თევზის რესურსების გამოყენების სხვადასხვა მიზანი ერთმანეთთან თანხმობაში უნდა მოიყვანოს და უნდა მოახდინოს მათი ჰარმონიზება.

20.2 სახელმწიფოებმა კონსულტაციებითა და ჩართულობის მაღალი დონის მეშვეობით უნდა განავითარონ და გამოაქვეყნონ გენდერულად მგრძობიარე პოლიტიკები და კანონები რეგულირებულ სივრცით დაგეგმარებასთან დაკავშირებით. სადაც ამის საჭიროება დგას, დაგეგმარების ფორმალურმა სისტემებმა უნდა გაითვალისწინონ დაგეგმარებისა და ტერიტორიული განვითარების მეთოდები, რომლებსაც იყენებენ მკვიდრი ხალხები და

საკუთრებისა და სარგებლობის ტრადიციული სისტემების მქონე სხვა თემები, ასევე, ამ თემებში გამოყენებული გადაწყვეტილების მიღების პროცესები.

20.3 სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ, რომ რეგულირებული სივრცითი დაგეგმარება ისე ხორციელდება, რომ იგი აღიარებს და ცნობს მიწის, ტყისა და თევზის რესურსებსა და მათი გამოყენების, მათ შორის, მათი გამოყენების გენდერული ასპექტების ურთიერთგადაჯახულ კავშირებს. სახელმწიფოები უნდა მიისწრაფოდნენ თანხმობის მიღწევისაკენ, პრიორიტეტი უნდა მიანიჭონ საჯარო, თემების და კერძო ინტერესებს და დააკმაყოფილონ სხვადასხვა ტიპის გამოყენების, მათ შორის, სასოფლო, სასოფლო-სამეურნეო, მომთაბარე, ურბანულ და გარემოსდაცვითი გამოყენების ინტერესები. სივრცითმა დაგეგმარებამ უნდა გაითვალისწინოს საკუთრებისა და სარგებლობის ყველა უფლება, მათ შორის, ურთიერთგადამფარავი და ღრობითი უფლებები. უნდა არსებობდეს მოთხოვნა სივრცითი დაგეგმარების რისკების სათანადო შეფასებისათვის. ეროვნული, რეგიონული და ადგილობრივი ტერიტორიული გეგმები ერთმანეთთან უნდა იყოს კოორდინირებული.

20.4 სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ, რომ დაგეგმარებასთან დაკავშირებული წინადადებების შემუშავება და ტერიტორიული დაგეგმარების სამუშაო ვერსიების განხილვა მაღალი საზოგადოებრივი ჩართულობით მიმდინარეობს, რათა გარანტირებულად მოხდეს თემების, მათ შორის, მკვიდრი ხალხებისა და საკვები პროდუქტების მწარმოებელი თემების ინტერესების ასახვა. საჭიროების შემთხვევაში, თემებს უნდა გაეწიოთ დახმარება დაგეგმარების პროცესში. შესრულებაზე პასუხისმგებელმა სტრუქტურებმა უნდა გამოაქვეყნონ ინფორმაცია იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ აისახა თემის მიერ გამოთქმული მოსაზრებები სივრცითი გეგმების საბოლოო ვერსიაში. სახელმწიფოები უნდა ისწრაფოდნენ კორუფციის აღმოფხვრისკენ სივრცითი დაგეგმარების უფლების არასათანადო გამოყენების, კერძოდ, მიწის დანიშნულების შეცვლის პრაქტიკის წინააღმდეგ მექანიზმების შემუშავებით. შესრულებაზე პასუხისმგებელმა სტრუქტურებმა უნდა მოახდინონ გეგმების შესრულების მონიტორინგის შედეგების აღრიცხვა.

20.5 სივრცითმა დაგეგმარებამ სათანადოდ უნდა გაითვალისწინოს, რომ აუცილებელია მიწის, ტყისა და თევზის რესურსების დივერსიფიცირებული მდგრადი მართვის პოპულარიზაცია, მათ შორის, აგრო-ეკოლოგიური მიდგომების გამოყენება და მდგრადი ინტენსიფიკაცია; ასევე, უნდა უზრუნველყოს კლიმატის ცვლილებისა და სასურსათო უსაფრთხოების თვალსაზრისით არსებულ გამოწვევებს.

21. საკუთრებისა და სარგებლობის უფლებებთან დაკავშირებული დავების გადაწყვეტა

21.1 სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ საკუთრებისა და სარგებლობის უფლებებთან დაკავშირებული დავების მოგვარების დროულ, ფინანსურად ხელმისაწვდომ და ეფექტიან მექანიზმებზე წვდომა მიუკერძოებელი და კომპეტენტური სასამართლო და ადმინისტრაციული ორგანოების მეშვეობით, მათ შორის, წვდომა ამგვარი დავების გადაწყვეტის ალტერნატიულ

საშუალებებზე და უნდა შექმნან უფლებების დაცვის და გასაჩივრების ეფექტიანი მექანიზმები. აღნიშნული მექანიზმების გამოყენებით მიღებული გადაწყვეტილებები დროულად უნდა აღსრულდეს. სახელმწიფომ ყველასთვის ხელმისაწვდომი უნდა გახადოს მექანიზმები პოტენციური დავების საწყის ეტაპზე გადაჭრისა თუ თავიდან არიდებისათვის, შესრულებაზე პასუხისმგებელი სააგენტოს ფარგლებში თუ მის გარეთ. დავების გადაწყვეტის მომსახურება ხელმისაწვდომი უნდა იყოს ყველასთვის, განურჩევლად სქესისა, ადგილმდებარეობის, ენისა და პროცედურული თვალსაზრისით.

21.2 სახელმწიფოებმა შესაძლოა განიხილონ სპეციალიზებული ტრიბუნალების თუ ორგანოების დაარსება, რომლებიც მხოლოდ და მხოლოდ საკუთრებისა და სარგებლობის უფლებებთან დაკავშირებულ დავებს განიხილავს; ისევე, როგორც ექსპერტთა პოზიციების შემოღება სასამართლო ორგანოების ფარგლებში, რომლებიც ტექნიკურ საკითხებს განიხილავენ. სახელმწიფოებმა შესაძლოა ასევე განიხილონ სპეციალური ტრიბუნალების დაარსება, რომლებიც განიხილავს დავებს რეგულირებულ ტერიტორიულ დაგეგმარებასთან, გამოკითხვებსა და შეფასებებთან დაკავშირებულ საკითხებზე.

21.3 სახელმწიფოებმა უნდა გააძლიერონ და განავითარონ დავების გადაწყვეტის ალტერნატიული ფორმები, განსაკუთრებით, ადგილობრივ დონეზე. სადაც არსებობს დავების მოგვარების ტრადიციული ან სხვა დამკვიდრებული ფორმები, ისინი უნდა უზრუნველყოფდნენ სამართლიან, სანდო, ხელმისაწვდომ და არადისკრიმინაციულ გზებს საკუთრებისა და სარგებლობის უფლებებთან დაკავშირებული დავების დროული მოგვარებისათვის.

21.4 სახელმწიფოებმა შესაძლოა განიხილონ შესრულებაზე პასუხისმგებელი ორგანოების გამოყენება დავების გადაწყვეტისათვის მათი ტექნიკური ექსპერტიზის ფარგლებში, მაგალითად, როგორცაა გამოკითხვაზე პასუხისმგებელი ორგანოები ეროვნულ კონტექსტში ინდივიდუალური მიწის ნაკვეთების საზღვრებთან დაკავშირებული დავების გადაწყვეტისას. გადაწყვეტილებები უნდა გამოქვეყნდეს წერილობითი ფორმით, უნდა ეფუძნებოდეს ობიექტურ დასაბუთებას და უნდა არსებობდეს სასამართლო ორგანოებში გასაჩივრების უფლება.

21.5 სახელმწიფოები უნდა ისწრაფოდნენ დავების გადაწყვეტის პროცესში კორუფციის აღმოფხვრისაკენ.

21.6 დავების გადაწყვეტის მექანიზმების შექმნისას, სახელმწიფოები უნდა ისწრაფოდნენ, რომ სამართლებრივი მხარდაჭერა აღმოუჩინონ მოწყვლად და მარგინალიზებულ ადამიანებს, რათა უზრუნველყონ გარანტირებული წვდომა მართლმსაჯულებაზე ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე. სასამართლო ორგანოებმა და სხვა სტრუქტურებმა უნდა უზრუნველყონ, რომ მათი პერსონალი ფლობდეს აუცილებელ უნარებსა და კომპეტენციებს ამგვარი მომსახურების გაწევისთვის.

22. ტრანსსასაზღვრო საკითხები

22.1 სახელმწიფოებმა უნდა ითანამშრომლონ, სათანადო მექანიზმების ფარგლებში და დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობით, რათა გადაჭრან საკუთრებისა და სარგებლობის საკითხები, რომლებიც უკავშირდება მიწის, ტყისა და თევზის რესურსებს, რომლებიც სცდება ეროვნულ საზღვრებს. სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ, რომ მათი ქმედებები თანხვედრაშია ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე კანონით ნაკისრ ვალდებულებებთან და სათანადო პასუხისმგებლობით ეკიდება რეგიონული და საერთაშორისო ინსტრუმენტებით გათვალისწინებულ, ნებაყოფლობით შესასრულებელ ვალდებულებებს. სახელმწიფოებში, სადაც წარმოიშობა საკუთრებისა და სარგებლობის უფლებებთან დაკავშირებული ტრანსსასაზღვრო პრობლემები, მხარეებმა უნდა იმუშაონ ერთად, რათა დაიცვან მიგრირებადი მოსახლეობის საკუთრებისა და სარგებლობის უფლებები, საარსებო საშუალებები და სასურსათო უსაფრთხოება, ვიდრე ისინი იმყოფებიან აღნიშნულ ტერიტორიებზე.

22.2 სახელმწიფოებმა და სხვა დაინტერესებულმა მხარეებმა წვლილი უნდა შეიტანონ თემებზე გავლენის მქონე საკუთრებისა და სარგებლობის ტრანსსასაზღვრო პრობლემების გააზრებაში, როგორცაა შემოუღობავი საძოვრები ანდა მეცხოველე მომთაბარეთა სეზონური მიგრაციის მარშრუტები და მცირე ზომის თევზსაჭერი მეურნეობები, რომლებიც საერთაშორისო საზღვრებს მიუყვება.

22.3 სადაც საჭიროა, სახელმწიფოებმა უნდა მოახდინონ საკუთრებისა და სარგებლობის საკითხების მართვის საკანონმდებლო სტანდარტების ჰარმონიზება ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე კანონით ნაკისრ ვალდებულებებთან და სათანადო პასუხისმგებლობით უნდა მოეკიდონ შესაბამისი რეგიონული და საერთაშორისო ინსტრუმენტებით გათვალისწინებულ, ნებაყოფლობით შესასრულებელ ვალდებულებებს. საჭიროებიდან გამომდინარე, ეს ყოველივე კოორდინირებული უნდა იყოს შესაბამის რეგიონულ ორგანოებთან და დაინტერესებულ მხარეებთან. სახელმწიფოებმა, საჭიროების მიხედვით, დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობით, უნდა განავითარონ და გააძლიერონ არსებული საერთაშორისო ზომები საკუთრებისა და სარგებლობის უფლებების ადმინისტრირებისათვის, რომლებიც საერთაშორისო საზღვრებს სცდება. სადაც საჭიროა, მათი კოორდინირება უნდა მოხდეს შესაბამის რეგიონულ ორგანოებთან. ყოველივე ეს უნდა მოხდეს, განსაკუთრებით, საარსებო საშუალებების და 4.8 პარაგრაფით გათვალისწინებული დაინტერესებულ მხარეთა უფლებების დაცვის მიზნით.

ნაწილი 6

რეაგირება კლიმატის ცვლილებაზე და საგანგებო მდგომარეობებზე

სახელმძღვანელო მითითებების ეს ნაწილი ეხება მიწის, ტყისა და თევზის რესურსების საკუთრებისა და სარგებლობის საკითხების მართვას კლიმატის ცვლილების, ბუნებრივი კატასტროფებისა და კონფლიქტების კონტექსტში.

23. კლიმატის ცვლილება

23.1 სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ, რომ თითოეული დაინტერესებული ადამიანის, თემისა თუ ხალხების მიწის, ტყისა და თევზის რესურსების საკუთრებისა და სარგებლობის ლეგიტიმური უფლებები, განსაკუთრებით ფერმერების, საკვების მწარმოებელი მცირე მეწარმეების და მოწყვლადი და მარგინალიზებული ადამიანების შემთხვევაში, დაცულია კანონის, პოლიტიკის, სტრატეგიებისა და სამოქმედო გეგმების დონეზე, კლიმატის ცვლილებების შედეგების პრევენციისა და მათზე რეაგირების მიზნით, კლიმატის ცვლილებებთან დაკავშირებული შესაბამისი ჩარჩო ხელშეკრულებებით ნაკისრი ვალდებულებების გათვალისწინებით.

23.2 როდესაც საჭიროა, სახელმწიფოები უნდა ისწრაფოდნენ, რომ სტრატეგიები და სამოქმედო გეგმები მოამზადონ და დანერგონ თითოეულ მოქალაქესთან, კონსულტაციებისა და ჩართულობის მეშვეობით, განურჩევლად მათი სქესისა, ვისაც შესაძლოა კლიმატური ცვლილებების გამო იძულებით გადაადგილება მოუწიოს. იძულებით გადაადგილებულ პირთა უზრუნველყოფამ ალტერნატიული მიწის, ტყისა და თევზის რესურსებითა და საარსებო საშუალებებით რისკის წინაშე არ უნდა დააყენოს სხვების საარსებო საშუალებები. სახელმწიფოებმა შესაძლოა განიხილონ სპეციალური დახმარების გაწევის შეთავაზება მცირე ზომის კუნძულების თუ სხვა განვითარებადი სახელმწიფოებისათვის.

23.3 ზიანის შემცირებისა და ადაპტაციის პროგრამებთან დაკავშირებულ მოლაპარაკებებში და აღნიშნული პროგრამების განხორციელებისას სახელმწიფოებმა ხელი უნდა შეუწყონ თითოეული ადამიანის, თემისა და ხალხების ჩართულობას, წინამდებარე სახელმძღვანელო მითითებების კონსულტაციებისა და ჩართულობის პრინციპების გათვალისწინებით, განსაკუთრებული აქცენტით ფერმერებზე, საკვების მწარმოებელ მცირე მეწარმეებსა და

მოწყვლად და მაგრინალიზებულ ადამიანებზე, რომლებიც ფლობენ საკუთრებისა და სარგებლობის კანონიერ უფლებებს.

24. ბუნებრივი კატასტროფები

24.1 როდესაც ხდება ბუნებრივი კატასტროფებისთვის მომზადება ანდა მათი პრევენცია, თითოეულმა დაინტერესებულმა მხარემ უნდა უზრუნველყოს, რომ მათ საპასუხო ქმედებებში სათანადო ყურადღება ეთმობა მიწის, ტყისა და თევზის რესურსების ფლობასა და სარგებლობასთან დაკავშირებულ ასპექტებს. ბუნებრივი კატასტროფების სავარაუდო უარყოფითი შედეგების პრევენციისა და მინიმუმამდე დაყვანისათვის უნდა შეიქმნას მარეგულირებელი საკანონმდებლო ჩარჩო საკუთრებისა და სარგებლობის საკითხებისთვის, მათ შორის, ტერიტორიული დაგეგმარებისათვის.

24.2 სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ, რომ მათი თითოეული ქმედება თანხმობაში მოდის ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე კანონით ნაკისრ ვალდებულებებთან და სათანადო პასუხისმგებლობით ეკიდება შესაბამისი რეგიონული და საერთაშორისო ინსტრუმენტებით გათვალისწინებულ, ნებაყოფლობით შესასრულებელ ვალდებულებებს. ყველა დაინტერესებული მხარე უნდა მოქმედებდეს შესაბამისი საერთაშორისო პრინციპების გათვალისწინებით, მათ შორის, სადაც საჭიროა გაეროს ლტოლვილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა საცხოვრებლისა და საკუთრების რესტიტუციის პრინციპების („პინიეროს პრინციპები“) და ჰუმანიტარული ქარტიისა და ბუნებრივ კატასტროფებზე რეაგირებისას მინიმალური სტანდარტების გათვალისწინებით.

24.3 სახელმწიფოებმა უნდა გაითვალისწინონ საკუთრებისა და სარგებლობის საკითხები კატასტროფების პრევენციისა და მზაობის პროგრამებში. უნდა მოხდეს ინფორმაციის შეგროვება საკუთრებისა და სარგებლობის ლეგიტიმურ უფლებებთან დაკავშირებით იმ ტერიტორიებისათვის, რომლებიც შესაძლოა აღნიშნული პროცესების ზეგავლენის ქვეშ მოქცნენ, წინამდებარე სახელმძღვანელო მითითებების კონსულტაციებისა და ჩართულობის პრინციპების გათვალისწინებით. საკუთრებისა და სარგებლობის ლეგიტიმური უფლებების აღრიცხვის სისტემები უნდა იყოს მოქნილი ბუნებრივ კატასტროფებთან მიმართებაში, მათ შორის, მონაცემების სხვა ადგილებში შენახვის თვალსაზრისით, რათა უფლებათა მფლობელ სუბიექტებს შეეძლოთ, დაამტკიცონ აღნიშნული უფლებების ქონა და შეძლონ თავიანთი მიწის ნაკვეთებისა და სივრცითი ერთეულების სხვაგან გადატანა. სახელმწიფოები უნდა შეეცადონ, რომ წინასწარ შერჩეული ჰქონდეთ დროებითი დასახლებების ტერიტორიები ადამიანებისათვის, რომლებიც შესაძლოა, იძულებული გახდნენ, ბუნებრივი კატასტროფების გამო, შეიცვალონ საცხოვრებელი და უნდა გაწერონ წესები აღნიშნულ ტერიტორიებზე საკუთრებისა და სარგებლობის უფლებების გარანტირებისთვის.

24.4 სახელმწიფოებმა და სხვა დაინტერესებულმა მხარეებმა უნდა გაითვალისწინონ საკუთრებისა და სარგებლობის საკითხები საგანგებო მდგომარეობებზე რეაგირების ეტაპზე. იძულებით გადაადგილებულ პირთათვის ალტერნატიული მიწის, ტყისა და თევზის რესურსების და საარსებო საშუალებების უზრუნველყოფამ რისკის წინაშე არ უნდა დააყენოს სხვათა

უფლებები და საარსებო საშუალებები. ასევე უნდა მოხდეს იძულებით გადაადგილებულ პირთა საკუთრებისა და სარგებლობის ლეგიტიმური უფლებების აღიარება, პატივისცემა და დაცვა. ინფორმაცია საკუთრებისა და სარგებლობის უფლებებისა და არაავტორიზებული გამოყენების შესახებ უნდა მიეწოდოს ყველა დაინტერესებულ ადამიანს.

24.5 სახელმწიფოებმა და სხვა დაინტერესებულმა მხარეებმა უნდა გაითვალისწინონ საკუთრებისა და სარგებლობის საკითხები რეკონსტრუქციის ეტაპზე. ადამიანებს, რომლებიც დროებით იძულებით არიან გადაადგილებულები, მოხალისეობრივ საფუძველზე, უსაფრთხოდ და ღირსების დაცვით უნდა გაეწიოთ დახმარება თავდაპირველ საცხოვრებელ ადგილას დაბრუნებაში. უზრუნველყოფილი უნდა იყოს საკუთრებისა და სარგებლობის საკითხებზე დავების გადაწყვეტის მექანიზმების არსებობა. როდესაც მიწის ნაკვეთებისა და სხვა ტერიტორიული ერთეულების საზღვრები ხელახლა უნდა განისაზღვროს, აღნიშნული პროცესი უნდა წარიმართოს წინამდებარე სახელმძღვანელო მითითებებში გაწერილი კონსულტაციებისა და ჩართულობის პრინციპების გათვალისწინებით. როდესაც ადამიანებს არ შეუძლიათ თავიანთი თავდაპირველ საცხოვრებელ ადგილას დაბრუნება, უნდა მოხდეს მათი მუდმივად გადასახლება სხვა ადგილას. ამგვარ გადასახლებაზე წინასწარ უნდა წარიმართოს მოლაპარაკებები მასპინძელ თემთან, რათა უზრუნველყოფილ იქნეს იძულებით გადაადგილებული ადამიანების ხელმისაწვდომობა მიწის, ტყისა და თევზის რესურსებსა და საარსებო საშუალებებზე ისე, რომ ამით, რისკის წინაშე არ აღმოჩნდეს სხვათა უფლებები და საარსებო საშუალებები.

25. მიწის, ტყისა და თევზის რესურსების საკუთრებისა და სარგებლობის საკითხებთან დაკავშირებული კონფლიქტები

25.1 ყველა დაინტერესებულმა მხარემ უნდა გადადგას ნაბიჯები მიწის, ტყისა და თევზის რესურსების საკუთრებასთან და სარგებლობასთან დაკავშირებული პრობლემების, როგორც კონფლიქტის გამომწვევი მიზეზების პრევენციისა და აღმოფხვრისათვის და უნდა უზრუნველყონ, რომ საკუთრებისა და სარგებლობის საკითხების გათვალისწინება ხდება კონფლიქტების დაწყებამდე, მიმდინარეობისას და კონფლიქტების შემდგომ, მათ შორის, ოკუპაციის პირობებში, როდესაც ჩართულმა მხარეებმა შესაბამისი საერთაშორისო ჰუმანიტარული კანონმდებლობის მიხედვით უნდა იმოქმედონ.

25.2 სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ, რომ მათი ყოველი ქმედება თანხმობაში მოდის ეროვნული და საერთაშორისო დონეზე კანონმდებლობით ნაკისრ ვალდებულებებთან და სათანადო პასუხისმგებლობით ეკიდება შესაბამისი რეგიონული და საერთაშორისო ინსტრუმენტებით, მათ შორის, საჭიროებიდან გამომდინარე, ლტოლვილთა სტატუსთან დაკავშირებული კონვენციითა და მისი დამატებითი ოქმით და გაეროს ლტოლვილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა საცხოვრებლისა და საკუთრების რესტიტუციის პრინციპებით („პინიეროს პრინციპები“) გათვალისწინებულ, ნებაყოფლობით შესასრულებელ ვალდებულებებს. კონფლიქტების მიმდინარეობისას და კონფლიქტების შემდგომ

სახელმწიფოებმა პატივი უნდა სცენ საკუთრებისა და სარგებლობის ლეგიტიმური უფლებების სათანადო საერთაშორისო ჰუმანიტარულ კანონმდებლობას.

25.3 იმისათვის, რომ საკუთრებისა და სარგებლობის საკითხებთან დაკავშირებულმა პრობლემებმა არ გამოიწვიოს კონფლიქტები, ყველა ჩართულმა მხარემ უნდა გადადგას ნაბიჯები აღნიშნული პრობლემების მშვიდობიანი გზით მოგვარებისათვის. სახელმწიფოებმა უნდა გადახედონ შესაბამის პოლიტიკებსა და კანონებს, რათა აღმოფხვრან დისკრიმინაცია და სხვა ფაქტორები, რომლებსაც კონფლიქტის გამოწვევა შეუძლია. როდესაც საჭიროა, სახელმწიფოებს შეუძლიათ გაითვალისწინონ ტრადიციული და სხვა ადგილობრივი მექანიზმები, რომლებიც ქმნიან სამართლიან, სანდო, გენდერულად მგრძობიარე, ხელმისაწვდომ და არადისკრიმინაციულ საშუალებებს მიწის, ტყისა და თევზის რესურსების საკუთრებისა და სარგებლობის საკითხებზე დავების დროული გადაწყვეტისათვის.

25.4 კონფლიქტების წარმოქმნისას, სახელმწიფოები და სხვა ჩართული მხარეები უნდა მიისწრაფოდნენ საკუთრებისა და სარგებლობის არსებული, ლეგიტიმური უფლებების პატივისცემისა და დაცვისაკენ და უნდა უზრუნველყონ, რომ არ მოხდეს სხვა მხარეთა მიერ მათი უფლებებელიყოფა. ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე რელევანტური კანონმდებლობით ნაკისრი ვალდებულებების თანახმად, სახელმწიფოებმა არ უნდა სცნონ თავიანთი ტერიტორიის ფარგლებში, მიწის, ტყისა და თევზის რესურსებზე საკუთრებისა და მათით სარგებლობის უფლებები, რომლების მოპოვებაც მოხდა იძულებით ანდა ძალადობრივი მეთოდებით. ლტოლვილები და იძულებით გადაადგილებული ან სხვა პირები, რომელთაც კონფლიქტი შეეხოთ, დასახლებულები უნდა იყვნენ უსაფრთხო პირობებში, ისე, რომ მასპინძელი თემების საკუთრებისა და სარგებლობის უფლებები დაცული დარჩეს. საკუთრებისა და სარგებლობის უფლებების დარღვევები უნდა აღირიცხოს და შესაფერის შემთხვევებში, უნდა მოხდეს მათი აღდგენა. საკუთრებისა და სარგებლობის უფლებების ოფიციალური რეესტრი დაცული უნდა იყოს განადგურებისა და მოპარვისაგან, რათა შემდგომში განვითარებული მოვლენების დროს შესაძლებელი იყოს დამადასტურებელი საბუთის წარმოდგენა ასეთი ძალადობრივი შემთხვევების მოგვარებისთვის და შესაძლო გამოსასწორებელი ქმედებების ხელშესაწყობად. იქ, სადაც ასეთი რეესტრი არ არსებობს, საკუთრებისა და სარგებლობის არსებული უფლებები უნდა იყოს მაქსიმალურად დოკუმენტირებული, გენდერულად მგრძობიარე საკითხების გათვალისწინებით, მათ შორის, ზეპირი ისტორიებისა და მოწმეთა ჩვენებების გამოყენებით. ლტოლვილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა საკუთრებისა და სარგებლობის ლეგიტიმური უფლებები უნდა იყოს აღიარებული, პატივცემული და დაცული. ინფორმაცია საკუთრებისა და სარგებლობის უფლებებისა და არაავტორიზებული გამოყენების შესახებ უნდა მიეწოდოს ყველა ადამიანს, ვისაც ეს ეხება.

25.5 კონფლიქტურ სიტუაციებში, როდესაც შესაძლებელია ან როდესაც კონფლიქტი შეწყდება, სახელმწიფოებმა და სხვა ჩართულმა მხარეებმა უნდა უზრუნველყონ, რომ საკუთრებისა და სარგებლობის საკითხებთან დაკავშირებული პრობლემების მოგვარება ხდება ისე, რომ წვლილი შეიტანოს გენდერული თანასწორობის მიღწევაში და აღმოუჩინოს მტკიცე დახმარება მათ, ვინც კონფლიქტისას დაზარადა. როდესაც შესაძლებელია რესტიტუცია და სადაც ამის საჭიროება დგას, გაერო-ს ლტოლვილთა უმაღლეს კომისარიატთან (UNHCR) და სხვა რელევანტურ სააგენტოებთან ერთად, ლტოლვილებსა და იძულებით გადაადგილებულ

ადამიანებს უნდა გაეწიოთ დახმარება მოხალისეობრივ საფუძველზე, უსაფრთხოდ და ღირსეულად მათ თავდაპირველ საცხოვრებელ ადგილას დაბრუნებაში, შესაბამისი საერთაშორისო სტანდარტების გათვალისწინებით. რესტიტუციის, რეაბილიტაციისა და რეპარაციის პროცედურები უნდა იყოს არადისკრიმინაციული, გენდერულად მგრძობიარე და საყოველთაოდ გავრცელებული, რესტიტუციაზე მოთხოვნები კი, განხილული უნდა იყოს ღროულად. მკვიდრი ხალხებისა და საკუთრებისა და სარგებლობის ტრადიციული სისტემების სხვა ჯგუფების საკუთრებისა და სარგებლობის უფლებების რესტიტუციის პროცედურებმა უნდა გაითვალისწინოს ინფორმირების ტრადიციული წყაროების გამოყენება.

25.6 როდესაც რესტიტუცია შეუძლებელია, მიწის, ტყისა და თევზის ალტერნატიულ რესურსებსა და საარსებო საშუალებებზე ლტოლვილებისა და იძულებით გადაადგილებულ პირთა უსაფრთხო წვდომა განხილული უნდა იყოს მასპინძელ თემებთან და სხვა რელევანტურ მხარეებთან, რათა ჩასახლება არ შეუქმნას რისკები სხვების საარსებო საშუალებებს. როდესაც შესაძლებელია, განსაკუთრებული პროცედურების გამოყენებით უზრუნველყოფილ უნდა იქნეს, რომ მოწყვლად ჯგუფებს, მათ შორის, ქვრივებს და ობლებს, უსაფრთხოდ მიუწვდებოდეთ ხელი მიწის, ტყისა და თევზის რესურსებზე.

25.7 შესაბამის შემთხვევებში, კონფლიქტის დაწყებამდე არსებული და მისი დაწყების შემდგომ წამოჭრილი დისკრიმინაციის პრობლემის მოგვარებისთვის, უნდა მოხდეს პოლიტიკებისა და კანონების გადასინჯვა. შესაბამის შემთხვევებში ან აუცილებლობისას, ხელახლა უნდა დაარსდეს რელევანტური სტრუქტურები, რათა უზრუნველყოფილ იქნეს მომსახურების გაწევა საკუთრებისა და სარგებლობის საკითხების გონივრული მართვისთვის.

ნაწილი 7

პოპულარიზაცია, შესრულება, მონიტორინგი და შეფასება

26.1 წინამდებარე სახელმძღვანელო მითითებების ნებაყოფლობითი ხასიათიდან გამომდინარე, სახელმწიფოები თავად არიან პასუხისმგებელი მათ შესრულებაზე, მონიტორინგსა და შეფასებაზე.

26.2 სახელმწიფოებს ეძლევათ რეკომენდაცია, რომ შექმნან მრავალმხრივი პლატფორმები და მექანიზმები ადგილობრივ, ეროვნულ და რეგიონულ დონეზე ანდა გამოიყენონ უკვე არსებული პლატფორმები და მექანიზმები, რათა ითანამშრომლონ წინამდებარე სახელმძღვანელო მითითებების შესრულების მიზნით; შესრულების მონიტორინგისა და შეფასების მიზნით თავიანთი იურისდიქციების ფარგლებში; და ზეგავლენის შეფასების მიზნით, მიწის, ტყისა და თევზის რესურსების საკუთრებისა და სარგებლობის საკითხების მართვის გაუმჯობესებაზე, სასურსათო უსაფრთხოების გაუმჯობესებაზე და ადეკვატურ საკვებზე ხელმისაწვდომობის უფლების ეტაპობრივ რეალიზებაზე, ეროვნული სასურსათო უსაფრთხოებისა და მდგრადი განვითარების კონტექსტში. ეს პროცესი უნდა იყოს ინკლუზიური, ჩართულობის მაღალი ხარისხის მქონე, გენდერულად მგრძობიარე, განხორციელებადი, ეკონომიკურად ეფექტური და მდგრადი. აღნიშნული საკითხების განხორციელებისას, სახელმწიფოებს შეუძლიათ, ტექნიკური მხარდაჭერისათვის მიმართონ რეგიონულ და საერთაშორისო ორგანოებს.

26.3 განვითარების საკითხებში პარტნიორებს, გაერო-ს სპეციალურ სააგენტოებს და რეგიონულ ორგანიზაციებს ეძლევათ რეკომენდაცია, მხარი დაუჭირონ აღნიშნული სახელმძღვანელო მითითებების განხორციელების ნებაყოფლობით მცდელობებს სახელმწიფოთა მხრიდან, მათ შორის, სამხრეთი-სამხრეთის თანამშრომლობის ფორმატში. ამგვარი მხარდაჭერა შესაძლოა, მოიცავდეს ტექნიკურ თანამშრომლობას, ფინანსურ დახმარებას, ინსტიტუციური შესაძლებლობების განვითარებას, ცოდნის გაცვლას და გამოცდილების გაზიარებას, დახმარებას საკუთრებისა და სარგებლობის ეროვნული პოლიტიკის განვითარებაში და ტექნოლოგიების გადაცემას.

26.4 მსოფლიო სასურსათო უსაფრთხოების კომიტეტი უნდა შეასრულოს გლობალური ფორუმის როლი, სადაც ყველა რელევანტური მხარე ისწავლის ერთმანეთის გამოცდილებისგან და შეაფასებს მიღწეულ პროგრესს წინამდებარე სახელმძღვანელო მითითებების შესრულების გზაზე, ასევე, მათ რელევანტურობას, ეფექტიანობასა და გავლენას. ამიტომაც, მსოფლიო სასურსათო უსაფრთხოების კომიტეტის სამდივნომ, მრჩეველთა ჯგუფთან თანამშრომლობით, ანგარიში უნდა ჩააბაროს მსოფლიო სასურსათო უსაფრთხოების კომიტეტს წინამდებარე

სახელმძღვანელო მითითებების შესრულების პროგრესთან დაკავშირებით, ისევე როგორც უნდა შეაფასოს მათი გავლენა და მათი წვლილი საკუთრებისა და სარგებლობის საკითხების მართვის გაუმჯობესებაში. აღნიშნული ანგარიშები უნდა იყოს საყოველთაო და უნდა მოიცავდეს, მათ შორის, რეგიონულ გამოცდილებებს, საუკეთესო პრაქტიკებსა და ნასწავლ გაკვეთილებს.

26.5 ყველა მხარეს, მათ შორის, სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებს და კერძო სექტორს, ეძლევათ რეკომენდაცია გამოიყენონ ერთობლივი ძალისხმევა წინამდებარე სახელმძღვანელო მითითებების პოპულარიზაციისა და შესრულებისათვის ეროვნული პრიორიტეტებისა და კონტექსტების შესაბამისად. ყველა მხარეს ეძლევა რეკომენდაცია, გაავრცელონ ინფორმაცია საკუთრებისა და სარგებლობის საკითხების გონივრულ მართვასთან დაკავშირებით, რათა ხელი შეუწყონ პრაქტიკის გაუმჯობესებას.